საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

მკითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციამ მისამართი შეიცვალა:
სულხან-საბას ქ. №3,
მობრძანდით, დაგვირეკეთ:
293-13-34,
599-79-76-79, 599-36-00-35.

ოთხშაბათი, 13 ივლისი. 2016 წ. №129 (8021), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქინძებო, გირჩებო და წიწვებო,

თქვენი შამათი გარდაუვალია!

უმადურნო და დაუნახავნო, ნაჩუქარ ცხენს ტყუილად უსინჯავთ კბილს, და ორსართულიანმა მატარებელმა თქვენი გულის გასახეთქად უკვე დაუბრკოლებლად გაიარა წიფის გვირაბი!

უმადურობა და დაუნახაობა, ანუ სხვისგან ბოძებული სიკეთისა და მადლის დაუფასებლობა ნამდვილად ერთ-ერთი დიდი უბედურებაა, რაც ყველაზე მეტად ამსგავსებს ადამიანს ცხოველს. თუმცა, ასე, ალბათ, არც ყველა ცხოველზე ითქმის. ირემზე, მაგალითად, რომელიც თავის თვისტომელს ბალახი მიაწოდა, არც შენ გაკლია და არც მეო, და მადლიერების კიდევ სხვა ბევრი მაგალითია ბუნებაში.

ამჯერად კი ჩვენს ქართულ უმადურობასა და დაუნახაობაზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას.

მანამ კი ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებისავე ნასიბრძნია, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯნებაო.

ერთი სიტყვით, ქართველიც არის და ქართველიც, ანუ ქართველს გააჩნია, მით უმეტეს, თუ ეს ეგრეთ წოდებული ქართველი კარგა გვარიანად პოლიტიკანაყლაპია, რომელსაც გულის შიგნიშიგან სულ ცალ ფეხზე ჰკიდია როგორც ქვეყნის, ისე ხალხის ბედი. იმას მარტო თავისი თავი ანაღვლებს და შური და ბოღმა ახრჩობს იმ ქართველის მიმართ, ვისაც თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად სამშობლო ქვეყნისა და მშობელი ხალხის მსახურება გაუხდია.

ქვეყნის დამაქცევარ ნაციონალთა მხრიდან სწორედ ამ შავმა შურმა და ბოღმამ კიდევ ერთხელ ამოხეთქა აგერ ახლა, როცა ბიძინა ივანიშვილმა, ყველა დროის უპირველესმა ქართველმა ქველმოქმედმა, კიდევ ერთი ახალი, ამჯერად 200-მილიონიანი საჩუქარი გადასცა ქართველ ხალხს, ქართულ სახელმწიფოს — საკონცერტო დარბაზი თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, გათვლილია 10 ათასამდე მაყურებელზე. დაპროექტებულია სრული უსაფრთხროების დაცვით, გათვალისწინებულია სტუმრებისთვის სრული კომფორტი და რაც მისასალმებელია, გათვლილია აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, არის მათთვის განკუთვნილი ადგილები, რისი პრეცედენტიც აქამდე არა გვქონია. დარბაზის სივრცე ისეთია, რომ შეუძლია, უმასპინძლოს ნებისმიერ მუსიკალური მიმდინარეობის კონცერტებს, თეატრალურ წარმოდგენებს და სპორტულ ღონისძიებებს. დარბაზი მზად არის, უმასპინძლოს ნებისმიერ უმაღლესი დონის ვარსკვლავსა თუ შოუ-პროგრამას.

ერთი სიტყვით, მსოფლიოში, ალბათ, მსგავსი რამ დარბაზი ჯერჯერობით არსად არ აშენებულა (იურმალა და სოჭი აქ სახსენებელიც არ არის!), თანაც აშენდა არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ შეკვეთილში (ოზურგეთის ზღვისპირეთში, ქობულეთის მახლობლად!), რაც უდავოდ დიდად შეუწყობს ხელს ტურიზმის გაზრდას როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, განვითარდება ბიზნესი, და, რაც მთავარია, მთელი ეს მხარე შეძლებს ისარგებლოს ტურისტული ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავლით, გაჩნდება უამრავი ახალი სამუშაო ადგილი.

მოკლედ, ქვეყანა აშკარად სულს მოითქვამს და აშკარად მოღონიერებული უთუოდ ღიღინის ხასიათზეც დადგება...

და აი, სწორედ ამან გაუხეთქა გული, სწორედ ამან დაანაღვლიანა ქართველი ხალხის სისხლის მწოველი, თავიანთი მოკლე ბორბოტი ჭკუით ვითომ სასიკეთოდ გარდაქმნილი დღემდე საკადრისად სასჯელმოუხდელი ნაციონალები, რომლებიც ლაჯაღლებული დაწანწალებენ სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ დავით ბაძრაძედ გადაკეთებული და შენილბული საკაკანთ ბიჭის მენახირეობით და ახალი ტყუილებით აბოლებენ ხალხს, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უარი სტკიცა გირჩებად, წიწვებად და ქინძებად დაშლილ ნაციონალებს.



ნაციონალ კრიტიკოსთა საზეიმო ფრიფინი შეკვეთილის ახალი საკონცერტო დარბაზის გამო...

და აი, ბიძინა ივანიშვილის ამ ახალი დიდი ეროვნული საჩუქრით თავრეტდასხმული ეს გირჩები, წიწვები თუ ქინძები თავიანთი ყოფილი ვაიკულტურის მინისტრის ნიკა რურუას მოკლე ჭკუითა და მწარე ენა-პირით, როგორც იტყვიან, ჩვარში კრავენ ამ დიდებულ ეროვნული მნიშვნელობის საჩუქარს და, ალბათ, მეათიათასჯერ იბითურებენ ისედაც უკვე კარგა გვარიანად გაბითურებულ თავს...

შუმი ნაციონალი ნაკულტურისმინისტრალი რურუას ბოღმიანი აზრით, მეტი მიზეზი რომ ვერაფერი მონახა, საქართველოს გაუჭირდება ამ უზარმაზარი დარბაზის მოვლაო და ჯერჯერობით ისედაც ხელმოკლე ჩვენს ხალხს ბიძინა ივანიშვილმა ახალი შუქგაუვალი კედელი აღუმართა თვალწინო.

აი ხედავთ, ხალხო, ამ ბოროტ ადამიანებს სამშობლოს წინსვლა და ჩვენი ხვალინდელი კეთილდღეობა კი არ აინტერესებთ, ისინი ისევ და ისევ ხელისუფლებაში მობრუნებაზე და ქვეყნის ყვლეფაზე ფიქრობენ?!

ამ ბოროტი ადამიანების მოკლე ჭკუით ვერც შვეიცარიაში შეძენილ ორსართულიან მატარებელს უნდა გაევლო წიფის გვირაბი, მაგრამ, როგორც იცით, გაიარა!

როგორც ხედავთ, რატომღაც დღემდე დაუსჯელი ნაციონალების უმადურობასა და დაუნახაობას საზღვარი არა აქვს და ესეც ერთ-ერთი ხერხია, რომ ჩვენ, ყველას, ვისაც გვჯერა ჩვენი „ქართული ოცნების“ აუცილებლად კეთილად ახდენისა, საბოლოოდ გაგვიტეხონ გული და ჩაგვაქნევინონ ხელი, რაც არამც და არამც არ მოხდება! და ეს მზის ნათელივით გამოჩნდება 2016 წლის 8 ოქტომბერს, როცა ჩვენი გონიერი ხალხი თავის უკეთეს ხვალინდელ დღეს მისცემს ხმას!

ასე რომ, სულ ტყუილად ფაფხურობთ, უმადურებო და დაუნახავებო!

კი, ბატონო, სოფელს ერთ დღეში ათასი ივანიშვილიც ვერ ააშენებს, მაგრამ ამჯერად ერთი ივანიშვილიც საკმარისია, ვინაიდან ამ ნამდვილად გულანთებულმა მამულიშვილმა კაცმა სამომავლო სოფელს, ანუ ხვალინდელ საქართველოს, მკვიდრი საძირკველი უკვე ჩაუყარა, რასაც ყველა კეთილგონიერი ქართველი თვალნათლივ ხედავს!

თქვენი პოლიტიკური შამათი, ავად მოფაფხურო ნაციონალებო, გარდაუვალია!

ეს ახალი საჩუქარიც სწორედ თქვენი საბოლოოდ დასაშამათებელი სვლაა!

გაზეთ „სრ“-ის სარედაქციო კოლეგია

2 შეცდომის უფლება აღარ გვაქვს!

3 ფერმერობა და კოოპერატივები აჭარაში

3 „აფხაზეთო, შენი მდგომარეობა უიმედოა“

8 ოსეთი: ოსტატურად შენილბული სიმართლე

პრეზიდენტი მზად არის, საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების პროცესს მხარი დაუჭიროს

ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, პრეზიდენტმა და მისმა ადმინისტრაციამ არაერთი კონსულტაცია გამართა დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე, მუდმივად მიმდინარეობდა საარჩევნო თემებზე მსჯელობა პოლიტიკურ სპექტრთან, როგორც საკონსტიტუციო ცვლილების, ასევე კოდექსის მიმართულებით.

„თუმცა, მმართველმა კოალიციამ მიუხედავად წინასაარჩევნო დაპირებებისა, არათუ არ იზრუნა დაპირებების შესრულებაზე, არამედ არც ერთ კონსულტაციაში მონაწილეობაც არ მიიღო. შესაბამისად, პრეზიდენტის აზრით, ეს არ არის იდეალური კანონი, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს საარჩევნო პროცესი, არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და პარლამენტს არა აქვს ნება მიიღოს უკეთესი კანონმდებლობა, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, უკეთესი რეფორმა საარჩევნო კოდექსისა ვერ ხერხდება. პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გამოთქვამს მზაობას, მხარი დაუჭიროს საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების პროცესს“, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

გიგლა აგულაშვილმა რესპუბლიკური პარტია დატოვა

„საქართველოს პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო რესპუბლიკური პარტია და დავრჩე გიორგი კვირიკაშვილის სამთავრობო გუნდში. ეს ნაბიჯი არ იყო უმტკივნეულო, რადგან წლები მაკავშირებს რესპუბლიკურ პარტიასთან, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას მამოძრავებდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. კარგად ვარ ინფორმირებული პრემიერ-მინისტრისა და მისი გუნდის სამომავლო გეგმებზე, მჯერა ჩემი არჩევანის სისწორისა, რადგან იგი უკავშირდება საქართველოს მდგრად, სტაბილურ განვითარებას, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას. ბუნებრივია, ჩემთვის დიდი პატივია, სამთავრობო გუნდში „ქართულ ოცნებასთან“ ერთად გავაგრძელო საქმიანობა და წვლილი შევიტანო ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში“, — განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

კონსერვატიული პარტია ოცნებასთან გაერთიანდა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ, ვიცე-სპიკერის ზვიად ძიძგურის განცხადებით, კონსერვატიული პარტია არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას არ მიიღებს.

„ეს გადაწყვეტილება მრავალკვირიანი კონსულტაციების შემდეგ მივიღეთ“, — განაცხადა ძიძიგურმა.

კითხვაზე, იქნება თუ არა „ქართული ოცნების“ სიაში ძიძიგური, დეპუტატი აცხადებს, რომ ამ თემაზე კონსულტაციები გრძელდება.

„სიაში ყოფნასთან დაკავშირებით ასევე მაჟორიტარებზე გაიგებთ მას შემდეგ, როცა პრეზენტაციას მოახდენს „ქართული ოცნება“. კონსერვატიული პარტია რჩება კვალიფიციურ პარტიად, წარმოდგენილი იქნება პარლამენტში და აქტიურად გააგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას“, — განაცხადა ძიძიგურმა.

მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია



გუშინ თბილისიდან 53 კილომეტრში მომხდარ 4.8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოუყოლია.

როგორც მედიანიუსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, შეტყობინება ნგრევასთან დაკავშირებით არც თბილისიდან და არც დმანისის და მიმდებარე ტერიტორიიდან არ შესულა.

მიწისქვეშა ბიძგები თბილისის დროით 14.14 სთ-ზე, დმანისის ჩრდილო-დასავლეთით — 10 კილომეტრში, სოფელ სოღუთლოდან ერთ კილომეტრში დაფიქსირდა.

◎ ნაცების ხელწერა

ლევან ყუბანეიშვილი: ჟურნალისტების გადაბირების ინიციატორი დავით კეზერაშვილი იყო

საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორი და „თიბისიტივის“ დამფუძნებელი ლევან ყუბანეიშვილი აცხადებს, რომ 2007 წლის დეკემბერში ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დროების“ ჟურნალისტების გადაბირების ინიციატორი თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით კეზერაშვილი იყო.

როგორც ყუბანეიშვილი ამბობს, მასთან მივიდა შემდეგ უკვე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელი გოგი გეგეშიძე და სთხოვა, ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დროების“ ჟურნალისტების გადაბირებაში დახმარებოდა, თავის მხრივ გადაბირებაში დახმარება გეგეშიძეს დავით კეზერაშვილმა სთხოვა.

„გოგის ჰქონდა შეხვედრა დავით კეზერაშვილთან, მათი საერთო თხოვნა იყო. მე არანაირი უფლება არ მქონდა, გოგისთვის უარი მეთქვა, მით უმეტეს, რომ შემეძლო, დავხმარებოდი, დავთანხმდი. შემდეგ ჩვენ გვქონდა შეხვედრა დავით კეზერაშვილთან თავდაცვის სამინისტროში. პირობებზე ვისაუბრეთ, ვგულისხმობ, რა მხარდაჭერა შეიძლებოდა მქონოდა მე ჟურნალისტებთან მოლაპარაკებების პროცესის დროს. კეზერაშვილმა მითხრა,რომ ყველანაირი ტიპის მხარდაჭერა შეიძლებოდა მქონოდა, ფინანსურიდან დაწყებული, სხვა იურიდიული საკითხებით დამთავრებული“, — ამბობს ჩვენებაში ყუბანეიშვილი.

ყუბანეიშვილის ინფორმაციით, შეხვედრა შედგა 2007 წლის დეკემბერში, შეხვედრაზე საუბარი იყო იმაზეც, რა ფორმით უნდა წამოსულიყვნენ ჟურნალისტები „იმედიდან“.

„ამ შეხვედრების დროს ჩვენ ვსაუბრობდით, რა ფორმით წამოსულიყვნენ ისინი არხიდან. ერთ-ერთი წინადადება იყო, რომ გაეკეთებინათ განცხადება, არხის მეპატრონის, ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკაში წასვლასთან დაკავშრებით. ეს თემა, ფორმა შეთანხმებული იყო დავით კეზერაშვილთან. უნდა გაეკეთებინათ განცხადება, ეთქვათ მიზეზი, რომ მათი არხის მფლობელი იწყებდა პოლიტიკურ საქმიანობას და მათთვის ეს მიუღებელი იყო. ამის შემდეგ ჩვენ რამდენიმე შეხვედრა გვქონდა, შევთანხმდით თანამშრომლობის შემდგომ ფორმაზე, რას გააკეთებდა ეს ჯგუფი. ამის შემდეგ მე მქონდა კიდევ ერთი შეხვედრა დავით კეზერაშვილთან, ვუთხარი, რა პირობებიც იყო ჟურნალისტების მხრიდან, მათ შორის — ფინანსური პირობები, რაც ამ ჯგუფმა წამოაყენა, რაზეც მივიღე მხარდაჭერა. მე და გოგი შემდეგ შევხვდით ამ ჯგუფს, ჩამოვყალიბდით, რომ გადაცემა გავიდოდა საზმაუწყებელზე, რადგან ჟურნალისტები ამბოდნენ, რომ ფორმატიც, რაც მათ უნდოდათ, ყველაზე კარგად შეეფერებოდა საზოგადოებრივ მაუწყებელს. გავაფორმეთ ხელშეკრულება, ამ ჯგუფმა ჩამოაყალიბა კომპანია „ახალი დროება“, ჩვენ — „ჯიელტივი“. მილიონ 900 000 დოლარი დაახლოებით იყო კონტრაქტის ფასი, შიგნით თანხა როგორ ნაწილდებოდა, ჩემ კომპეტენციაში არ შედიოდა“, — აღნიშნა სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს ყუბანეიშვილმა.

* * *

ყოველგვარი კომენტარის გარეშეც ნათელია, თუ როგორ ანადგურებდნენ ნაცები თავისუფალ სიტყვას, რომელ ისაკუთრებდნენ ოპოზიციურ ტელეკომპანიებს!

„ცენტრ პოინტთან“ ურთიერთდამოკიდებული კომპანიების ჯამური დავალიანება სახელმწიფოს მიმართ 61 მლნ ლარია!

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „ცენტრ პოინტთან“ დაკავშირებით ასეთ განცხადებას ავრცელებს:

„რამდენიმე დღეა, კომპანია „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლები საზოგადოებას და, უპირველეს ყოვლისა, დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა მედიასაშუალებით აწვდიან მცდარ ინფორმაციას, თითქოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპანიისთვის დასაბრუნებელი აქვს თანხა 20 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ აღნიშნული განცხადება შეიცავს არასრულყოფილ მონაცემებს, გამომდინარე იქიდან, რომ „ცენტრ პოინტთან“ ურთიერთდამოკიდებული კომპანიების ჯამური საგადასახადო დავალიანება სახელმწიფოს მიმართ შეადგენს 61 მლნ ლარს, მათ შორის, 2016 წლის 12 ივლისის მდგომარეობით:

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დავალიანება შეადგენს 29 398 541,42 ლარს, შპს „მარიჯანის“ დავალიანება — 10 317 577,94 ლარს, შპს „ცენტრ პოინტ სიტის“ დავალიანება — 2 311 595,39 ლარს, შპს „დიდი დიღმის ოაზისის“ დავალიანება — 10 542 208,31 ლარს, სხვა დანარჩენი 8 740 000 ლარი.

კომპანიის დამფუძნებლები სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ საგადასახადო ორგანოს საგადასახადო კოდექსით არ აქვს უფლება გადასახადის გადამხდელის თანხმობის გარეშე, გაამჟღავნოს გადამხდელის შესახებ დამატებითი დეტალური ინფორმაცია, რადგან კანონმდებლობით, ის წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას (საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი)“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

გამომდინარე აღნიშნული გარემოებიდან, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე გამოაქვეყნონ დამატებითი ინფორმაცია.

აქვე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოუწოდებს კომპანია „ცენტრ პოინტის“ მფლობელებს, არ შეიყვანონ შეცდომაში მოსახლეობა. მიაწოდონ მათ ობიექტური ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ან გასცენ წერილობითი თანხმობა, რათა საგადასახადო ორგანომ აღნიშნული ინფორმაცია გახადოს საჯარო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განუხრელად იცავს გადასახადის გადამხდელის უფლებებს და მის საგადასახადო საიდუმლოებას, ამავე დროს, მიუღებლად მიაჩნია კომპანიამ დაზარალებული მოსახლეობა შეგნებულად შეიყვანოს შეცდომაში და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა დააკისროს სახელმწიფო სტრუქტურებს.

◎ რუსი ჟურნალისტი:

„მაპატიე აფხაზეთო, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ შენი მდგომარეობა უიმედოა“

რუსული გამოცემა „Комсомольская правда“ აქვეყნებს ვლადიმირ ვორსობინის სტატიას, სადაც ავტორი „აფხაზეთის რესპუბლიკაში“ არსებულ ვითარებას აფასებს და წერს, რომ აფხაზებს ყველაფრის გაკეთება რუსული ფულითა და რუსული დაფინანსებით სურთ.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ვ. ვორსობინის სტატიის შემოკლებულ ვერსიას:

რამდენჯერაც ვიყავი ჩემს საყვარელ აფხაზეთში, რამდენჯერაც დავწერე მასზე (ეს ფილმ „ზაზუნას დღეს“ ჰგავს — ათი წლის განმავლობაში სულ ერთიდაიგივე მდგომარეობა...), ზოგიერთ რაღაცას მკითხველს ვუმალავდი და არ ვაქვეყნებდი. იმედი მქონდა, რომ ყველაფერი ისეთი ცუდად არაა, როგორც მგონია, შეიძლება ვცდები, ვაჭარბებ-მეთქი... ფიქრობდი, დადგება ის ნათელი დღე, როცა ეს უცნაური, მცირერიცხოვანი რესპუბლიკა გამოფხიზლდება და თავის საყვარელ ტრადიციას — „ფოცხისათვის ფეხის დადგმას“ თავს დაანებებს...

მაგრამ პრემიერ-მინისტრ არტურ მიქვაბიას განცხადებამ (მადლობა მას!) მეთმინების ფიალა ამივსო. პრემიერმა კომენტარი გაუკეთა მოსახლეობის უკმაყოფილებას პერმანენტული სიღარიბისა და მოშლილი ეკონომიკის თაობაზე და აფხაზეთში შექმნილი სოციალური დაძაბულობა... მსოფლიო კრიზისს დაბრალა. დიახ, მსოფლიო კრიზისს! ანუ პრემიერს თუ დავუჯერებთ, მსოფლიო კრიზისი უკვე 20 წელზე მეტია, მიმდინარეობს და ვერ მივმხვდარვართ. უფრო ზუსტი იქნებოდა ეთქვა, რომ კრიზისი მსოფლიოში კი არა, აფხაზეთშია დაბუდებული — რესპუბლიკა სულ სიღარიბეშია და ვერა და ვერ გამოსულა. და თუ ამ ოცი წლის მანძილზე რაღაც მაინც შეიცვალა, მხოლოდ აი, ასეთი სახით:

ჩავიდნენ აფხაზეთში რუსი რკინიგზელები და რუსეთის ხაზინის ხარჯზე ფსოუ-სოხუმის გზა გაარემონტეს, აფხაზეთის ხელისუფლება კი მათ გაკეთებულს თავისად ასაღებდა, მილოცვებს იღებდა; ჩავიდნენ აფხაზეთში რუსი (ან თურქი) მშენებლები და რუსეთის ხარჯზე საცხოვრებელი კორპუსები ან სტადიონი ააშენეს, აპლოდისმენტებს კი პრეზიდენტი იღებს... წლიდან წლამდე კი გამოდის ტრიბუნაზე რომელიღაც აფხაზი მინისტრი და იმავეს ამბობს, რაც ახლა არტურ მიქვაბიამ თქვა: „რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ასეთ მძიმე პირობებშიც კი, როცა მსოფლიოში კრიზისია, სერიოზული რეფორმების განხორციელებას შეუდგა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი თანამემამულეები სოციალური რყევებისაგან დაიცვას“.

„სერიოზული რეფორმები“... ზუსტად ისე, როგორც წინა პრემიერ-მინისტრები და პრეზიდენტები 20 წლის განმავლობაში ეუბნებოდნენ საკუთარ ხალხს და მოსკოვს. ყოველმა აფხაზმა იცის, ვინ მყავს კიდევ მხედველობაში...

თუმცა რაზე ვლაპარაკობ, ვითარება ისედაც ნათელია.

მაპატიე, აფხაზეთო, მაგრამ მაინც ვიტყვი: შენი მდგომარეობა უიმედოა.

აფხაზეთის ახალი ხელისუფლებაც მთლიანად რუსეთის ბიუჯეტის ხარჯზე იცხოვრებს, სწრაფად გაიაზრებს: უფრო ადვილია „პატარა, მაგრამ დამოუკიდებელი და ამაყი ქვეყნის“ სტატუსკვოს შენარჩუნება და იმის ახსნა, რომ ყველა პრობლემა მსოფლიო კრიზისით თუ გალაქტიკების შეჯახებითაა გამოწვეული, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, გარისკავენ და მუშაობას დაიწყებენ.

ჰოდა, უკმაყოფილო აფხაზები სამი წლის შემდეგ იმათაც რომ დაამხობენ, ისევ სხვები მოვლენ, მათნაირები... ჩვენ კი, რუსები, განწირული ვართ „ზაზუნას დღეს“ ვუყუროთ და ველოდოთ, როდის გამოჩნდება ის ვიღაც, რომელიც სიტუაციას შეცვლის...

* * *

ბოლო მონაცემების თანახმად, აფხაზეთში პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების თაობაზე გამართული რეფერენდუმი ჩაშლილად გამოცხადდა ხმის მიცემის უბნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობის გამო: 132 877 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მხოლოდ 1628 ამომრჩეველმა მიიღო.

◎ „აფხაზური ოპოზიცია“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ იმისთვის კი არ ვიბრძოლეთ, რომ საბოლოოდ რუსეთის შემადგენლობაში აღმოვჩენილიყავით“

რუსული გამოცემა „Независимая газета“ ეხმაურება „აფხაზეთის რესპუბლიკაში“ გამართულ რეფერენდუმს, რომელიც დაბალი აქტივობის გამო ჩაიშალა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვერსიას:

აფხაზეთში ჩატარებული რეფერენდუმის თაობაზე, რომელიც პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს ეხებოდა, ოფიციალური შეფასება რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდება, მაგრამ უკვე ცხადია, რომ რაულ ხაჯიმბა ამ ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტად დარჩა. რეფერენდუმის წინ ოპოზიციურმა ბლოკმა (რომელმაც პლებისციტის გადატანა მოითხოვა, მაგრამ ხელისუფლება არ დაეთანხმა), განაცხადა, რომ მასში მონაწილეობას არ მიიღებდა. საბოლოო ჯამში, კვირას, 10 ივლისს, გამართულ რეფერენდუმში აფხაზეთის მოქალაქეთა მონაწილეობა რეკორდულად დაბალი იყო.

სხვათა შორის, რეფერენდუმის ჩატარების იდეა თვით ოპოზიციას ეკუთვნის. მისი ისტორია ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაიწყო: ოპოზიცია, რომელიც უკმაყოფილო იყო აფხაზეთში შექმნილი ვითარებით, ეკონომიკური წარუმატებლობით და კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებით, ცვლილებების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. ის პრობლემები, რომლის გამოც წინა პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი გადადგა (2014 წლის მაისში), არსად არ გამქრალა, ისევ დარჩა და კიდევ უფრო გამძაფრდა. უფრო მეტიც - აფხაზური საზოგადოების გავლენიანმა ნაწილმა რაულ ხაჯიმბას ორწლიანი მმართველობის განმავლობაში იგრძნო, რომ აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტიც შეიკვეცა (რუსეთთან ხელმოწერილი შეთანხმების კვალობაზე). ეს კი ოპოზიციის მიზნებს სრულებით არ შეესაბამებოდა: „ჩვენ იმისთვის კი არ ვიბრძოლეთ საქართველოსთან დამოუკიდებლობის გამო, რომ რუსეთის შემადგენლობაში აღმოვჩენილიყავით“.

სხვათა შორის, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აფხაზთა ასეთი განწყობა ანტირუსულ განწყობად არ უნდა ჩავთვალოთ - სოხუმში მშვენივრად ხვდებიან იმას, რომ „რესპუბლიკა“ თავის არსებობას, პირველ რიგში, რუსეთს უნდა უმადლოდეს, რომელიც აფხაზეთის ერთადერთი მოკავშირე და მფარველია. მაგრამ აფხაზები ასევე ფიქრობენ, რომ მფარველობა სუვერენიტეტის შეკვეცის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. აი, სწორედ ეს, სუვერენიტეტის შეზღუდვაა ჩადებული 2014 წლის ნოემბერში ხელმოწერილ მოკავშირეობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებაშიო. ოფიციოზი თავდაპირველად პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების თაობაზე რეფერენდუმის ჩატრების იდეას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა. კითხვა საბოლოოდ ასეთი სახით ჩამოყალიბდა: **„თვლით თუ არა აუცილებლად აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარებას“**. რეფერენდუმი 10 ივლისს დაინიშნა.

მაგრამ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ოპოზიციის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. რეფერენდუმის ჩატარების თარიღის მოახლოების კვალობაზე ბიუროკრატიული ხასიათის პრობლემები გაჩნდა: სხვადასხვა მიზეზთა გამო რაულ ხაჯიმბას მოწინააღმდეგეთა ბანაკი მნიშვნელოვნად შემცირდა. ოპოზიციამ განგაში ატეხა და გასულ კვირას გამართულ მიტინგზე ჯერ რეფერენდუმის თარიღის მოგვიანებით გადატანა, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრის ლეონიდ ძიაბშბას გადადგომა მოითხოვა (ფორმალური მიზეზით — კრიმინოგენური სიტუაცია გაუარესდაო). სინამდვილეში კი ოპოზიციამ ამ ჩინოვნიკზე შურიიძია, რადგან, როგორც ამბობენ, მინისტრმა თავის თანამშრომლებს, ზეპირი განკარგულებით, რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება აუკრძალაო.

რეფერენდუმის წინ რაულ ხაჯიმბამ აფხაზეთის ტელევიზიით მოსახლეობას მიმართა და ხალხს ამ ღონისძიების ღირსეულად ჩატარებისაკენ მოუწოდა, პროვოკაციებისა და ქუჩის უწესრიგობების გარეშე, კანონის უზენაესობისა და ადამიანური ურთიერთობების პატივისცემის საფუძველზე“. საპასუხოდ, ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რეფერენდუმის გადატანის თაობაზე მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო ისინი პლებისციტში მონაწილეობას არ მიიღებენ.

საბოლოო ჯამში, 10 ივლისს გამართული რეფერენდუმი ჩაიშალა. აშკარაა, რომ მასში მონაწილეობა არც ხელისუფლების მომხრეებმა და არც ოპოზიციის მხარდამჭერებმა არ მიიღეს. ამრიგად, რაულ ხაჯიმბამ თანამდებობა შეინარჩუნა. აფხაზური კანონმდებლობის თანახმად, იმავე საკითხზე რეფერენდუმი მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიძლება ჩატარდეს.

საგურამოში „ქართული ოცნების“ ახალ სახეებს წარადგენენ

ქართული ოცნების 20-მდე ახალი სახე იქნება წარდგენილი ხვალ, 13 ივლისს, საგურამოში დაგეგმილ პრეზენტაციაზე. ინფორმაციას ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარე ადასტურებს. გიორგი ვოლსკის განცხადებით, როგორც მაჟორიტარული, ასევე პარტიული სიის ფორმირება 18 ივლისამდე დასრულდება. კონკრეტული პირების ვინაობა ამ დროისთვის არ საჯაროვდება.

კოპორეიძის ჭკუაზე პარლამენტის შეკრება შეუძლებელია!

პარლამენტის ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი პრეზიდენტის მრჩეველს კახა კოპორეიძეს პასუხობს.

მისი თქმით, პარლამენტის რიგგარეშე სხდომები რომ ჩატარდეს, დეპუტატები საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ვერ მიიღებენ, რადგან არ არსებობს უმრავლესობაში სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტზე ერთიანი პოზიცია.

„პარლამენტის მიმართ ისე საუბრობენ, კოპორეიძე მყავს მხედველობაში, თითქოს ეს ინსტიტუტი არ უნდა იყოს პატივსაცემი ან რაღაც ერთი ხელის დაკვრით, მისი გადაწყვეტილებით შეიკრიბოს ან არ შეიკრიბოს. ორი მნიშვნელოვანი მუხლი, ეს არის სამწლიანი გამოსაცდელი ვადა და მოსამართლეების, სასამართლოთა თავმჯდომარეების დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით, არის აზრთა სხვადასხვაობა. ტექნიკურად რომც გახდეს შესაძლებელი უმრავლესობის შეკრება, თუნდაც ოპოზიციასთან ერთად, არ იქნება მიღწეული კონსენსუსი,“ — განაცხადა გია ვოლსკიმ.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გკანონმდებლებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, შეიკრიბონ რიგგარეშე სხდომაზე და საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები საბოლოოდ დაამტკიცონ. კოპორეიძემ ვარაუდიც გამოთქვა, რომ კანონპროექტის მიღება ხელოვნურად ჭიანურდება.



◎ ქართველი ხალხის განსაცდელი

მთელი თავისი არსებობის განმავლობაში საქართველო არასოდეს მდგარა ასეთი მასშტაბური საფრთხეების წინაშე, რომელშიც დღეს ვიმყოფებით. ჩვენ ვცხოვრობთ ძალზედ დეტერმინირებულ მსოფლიოში, სადაც წყდება არა მხოლოდ ძლიერების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ცალკეული სახელმწიფოების არსებობის მიზანშეწონილობაც კი.

როგორ უნდა ვიმოქმედოთ ასეთ დროს?

1. რა კითხვები გვაქვს დასავლეთთან?

თუ თავს დავიმშვიდებთ იმით, რომ მტრის გარდა ჩვენ გვყავს მეგობრებიც, რომლებიც ჩვენზე ზრუნავენ, მაშინ მოდით ამ ურთიერთობებსაც დავაკვირდეთ: დიახ, ჩვენ გვყავს კეთილმოსურნეები, მაგრამ ისინი მათთან მეგობრობის უფლებას მხოლოდ მაშინ გვაძლევენ, თუ დასავლურ ცივილიზაციასთან ზიარებისთვის ტრადიციულ ღირებულებებს ზურგს შევაქცევთ და ფსევდოფასეულობებსაც ცხოვრების წესად გავიხდით, მათ ნაკარნახევს უკრიტიკოდ შევასრულებთ, თუნდაც რომ ეს ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. თავის დროზე ავღანეთში წითელი არმიის შეჭრის გამო საბჭოთა კავშირის მიმართ დასავლეთის მიერ დაწესებულმა სანქციებმა დაასუსტა იმპერია და საბოლოოდ მშვიდობიანად დაშალა. დღეს კი, საუბედუროდ, დასავლეთის მიერ რუსეთის მიზანმიმართული დასუსტების ოპერაციას უკრაინის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. აღარაფერს ვამბობთ დანგრეულ ეკონომიკაზე და მოსახლეობაში არსებულ გაუსაძლის სიღატაკეზე.

სოციალურ ქსელში დასავლეთის მიმართ სიმპათიის შემცველ კითხვასაც ვეღარ დასვამ, იმხელა აგრესია მოდის ფაქტობრივად.

რა მოხდა, ნუთუ რუსულმა პროპაგანდამ თვალსა და ხელს შუა ასე ღრმად შემოაღწია ქართულ საინფორმაციო სივრცეში, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თვალში დასავლეთის სრული დისკრედიტირება მოახდინა?

ნეტავ ეს ასე იყოს, უფრო ადვილი გამოსასწორებელი იქნებოდა, მაგრამ რა ვუყოთ, რომ უფრო რთულადაა საქმე?!

ამიტომ, ამასთან დაკავშირებით დღეს თუ ვინმეს შეკითხვებს უნდა ვუსვამდეთ და პასუხს ვთხოვდეთ იმაზე, რაც საქართველოში ხდება, ეს თავად დასავლეთია, რადგან რუსეთს აქვს თავისი მიზნები, რომელსაც ყველა გზით და საშუალებით, ბუნებრივია, ახორციელებს.

რეალურად ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ დასავლეთმა 20 წელი, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი ჰქონდა საქართველოსთან ურთიერთობისთვის, გაფლანგა და წყალში ჩაყარა. ისევე, როგორც ის მილიარდები, რომელიც დასავლეთიდან საქართველოში შემოდიოდა.

ფაქტია, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პროდასავლური აღარ არის. დარჩენილი ნაწილი შეიძლება მკვეთრად პრორუსული არ იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი პრორუსულია, გაცილებით დიდი ნაწილი კი არის დასავლეთისგან იმედგაცრუებული.

რა კითხვები გვაქვს დასავლეთთან?

— რატომ არ განავითარა ეკონომიკა საქართველოში, მაშინ, როდესაც დასავლეთის მასშტაბისთვის ძალიან მცირე ინვესტიციებიც კი საკმარისი იქნებოდა ასეთი პატარა ქვეყნის განვითარებისთვის? — ძალიან დიდი შანსი იყო, რომ ეკონომიკური სამოთხე შეექმნათ მისი სატრანზიტო ფუნქციების გამოყენებით. ბოლოს და ბოლოს, ინოვაციური ტექნოლოგიების რეგიონული ცენტრი შეეძლოთ გაეკეთებინათ.

თუ საუბარი იმაზეა, რომ რუსეთისგან მუდმივად არსებობდა საფრთხე და ეს ფული რატომ უნდა გადაეყარათ? ის ფული, რაც დღემდე დემოკრატიის განვითარებისთვის დახარჯეს, განა გადაყრილი არ არის? მთლიანობაში არავინ იცის, რამდენი მილიარდი დაიხარჯა საქართველოში. 10-15 მილიარდიც რომ ყოფილიყო, ამ თანხით ძალზე იოლად შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დაყენება.

რატომ იფიქრა დასავლეთმა, რომ მხოლოდ პოლიტიკური ელიტების შექმნით გარანტირებული იქნებოდა ამ ქვეყნის პროდასავლური კურსი? რატომ არ შეისწავლა რეალური განწყობები? - თუ ეკონომიკა ფეხზე დადგებოდა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ხომ თავისთავად, პროდასავლური იქნებოდა?!

დასავლეთს რეგიონში საქართველოს სახით რომ შეექმნა ახალი სამხრეთ კორეა, ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რა გავლენას მოახდენდა ჩვენს ახლო და შორეულ მეზობლებზე?

 # შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს!

დღეს რომ საქმე-საქმეზე მიდგეს, რამდენი კაცი გამოვა ქუჩაში და გააპროტესტებს, თუ, დავუშვათ, და ქვეყნის საგარეო კურსი შეიცვალა? ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, გამოვლენ მხოლოდ ის პოლიტიკური ელიტები, რომელიც დასავლეთმა შექმნა და დააფინანსა. ეს იქნება მაქსიმუმ, 10 ათასი კაცი. ეს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების უნარის მქონე ამ ქვეყანაში დაახლოებით 2,5 მილიონი ადამიანია. ფაქტია, რომ დასავლეთს ეგონა, რომ ის 10 ათასი კაცი შეცვლიდა 2,5 მილიონის განწყობას?

რატომ არ აირჩია დასავლეთმა სხვა ტაქტიკა და რატომ თვლიდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერით სრულიად საქართველოს მოსახლეობის ლოიალობის მოპოვებას შეძლებდა? მითუმეტეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მძიმე შეცდომები დაუშვა. რატომ ვერ გათვალა, რომ ამ შეცდომებზე თვალის დახუჭვით და უპირობო მხარდაჭერით საკუთარ იმიჯს ლახავდა და აცამტვერებდა ამ ქვეყანაში? — კითხვა დასავლეთის მიმართ ძალზე ბევრია და ურიგო არ იქნებოდა თავად მისთვისაც და მისი მხარდამჭერებისთვისაც, რომ ამ კითხვებზე პასუხები უბრალოდ კი არ გაეცათ, არამედ გაეანალიზებინათ.

რატომ არ აირჩია დასავლეთმა სხვა ტაქტიკა და რატომ თვლიდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერით სრულიად საქართველოს მოსახლეობის ლოიალობის მოპოვებას შეძლებდა? მითუმეტეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მძიმე შეცდომები დაუშვა. რატომ ვერ გათვალა, რომ ამ შეცდომებზე თვალის დახუჭვით და უპირობო მხარდაჭერით საკუთარ იმიჯს ლახავდა და აცამტვერებდა ამ ქვეყანაში?

დღეს კი დასავლეთის დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანასთან შეიძლება ასე შევაფასოთ — დასავლეთმა პაუზა აიღო იმიტომ, რომ აქცენტები და რესურსები და ინტერესები სხვა მიმართულებით აქვს გადასროლილი. თუ დასავლეთი რუსეთის დასუსტებისთვის გამიზნულ გრძელვადიან ტაქტიკას იყენებს, მას, შესაძლოა, სულ არ აინტერესებდეს დღეს საქართველოში შექმნილი სიტუაცია. ალბათ ფიქრობს, რამდენიმე წელიწადში რუსეთს აღარ ექნება იმისი თავი, რომ თავის უახლოეს სამეზობლოზეც კი გაავრცელოს გავლენა, შესაძლოა, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ რუსეთის ამ სამეზობლოებს შემდგომ მიხედავენ.

2. დასავლეთი თუ რუსეთი?

საქართველოში იდეოლოგიური ომის პარალელურად მიმდინარეობს მცოცავი ანექსიაც, მუდმივად ხდება მავთულხლართების გადმოწევა. ქვეყანაში გვყავს იარაღით შემოჭრილი მტერი, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი მიწა-წყალი და მცოცავი ანექსიით ახალ-ახალ ტერიტორიებს გვართმევს.

რა შეიძლება გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულად ამის საწინააღმდეგოდ? გამოდის, რომ ომის გარეშეც ყოველდღიურად ვკარგავთ ტერიტორიებს...

— ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ საქართველოს ხელისუფლება აღარაფერს აღარ აპოროტესტებს რაც რუსეთს ეხება... განა ვერ ხვდება ხელისუფლება, რომ საინფორმაციო სივრცე ღიაა რუსული პროპაგანდისთვის? შედეგები როგორია?

არაფერს რომ არ აკეთებს, რათა ამას ხელი შეუშალოს — საქართველოს ხელისუფლების ამ პოლიტიკას შეიძლება რაღაც გამართლება მოუძებნო, და სერიოზული გამართლებაც. მაშინ, როდესაც დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გარდა, მხოლოდ „აღშფოთებითა“ და „შეშფოთებით“ შემოიფარგლება, რეალური პოლიტიკაა, რომ მის მიმართ რიტორიკა შევცვალოთ, თუმცა, ამით ჩვენი დამოკიდებულება ამ ქვეყნის, როგორც ოკუპანტის მიმართ უცვლელი რჩება. ენა კი იმისთვის გვაქვს, რომ ზოგჯერ საკუთარი აზრები შევნიღბოთ. სწორია, რომ საქართველო რუსეთს კვლავ განიხილავს როგორც საფრთხეს; ხელისუფლება ფიქრობს და აანალიზებს რუსეთიდან მოსალოდნელ შემოტევებს ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური და ა.შ. მიმართულებით და მათი განეიტრალების თაობაზე ზრუნავს. გვაქვს კი სხვა არჩევანი?

— ვინ ვართ ჩვენ, ჩვენი 3,5-მილიონიანი მოსახლეობით და რამდენიმეათასიანი ჯარით, რომ რუსეთის აგრესიას გავუმკლავდეთ? — აგვისტოს ომის დროს, როდესაც საქართველოს დასავლეთის აბსოლუტური მხარდაჭრა ჰქონდა, მაშინ ვერაფერი გვიშველა დასავლეთმა.

როდესაც ყველასთვის თვალსაჩინოა, რომ დასავლეთს პაუზა აქვს აღებული ასეთ სიტუაციში რა უნდა ქნას საქართველოს ხელისუფლებამ? — შეასკდეს რუსეთს? ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, მისი პოზიცია სწორია — გადაწყვეტით ძნელია რამე ამტკიცო.

იგივე წარმატებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება რეალისტურ და პრაგმატულ პოლიტიკას მიმართავს, განსხვავებით წინა ხელისუფლებისაგან, როგორც იმის იმედით, რომ ისარგებლებდა შექმნილი ვითარებით და დროულად აღადგენდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, პირდაპირ ასრულებდა გარეშე ძალების დაკვეთას. რისთვისაც არ ერიდებოდა აშკარა ავანტიურას და საკუთარ ხალხს უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებდა. დღეს კი — თითო ბარტყის გადაგდებით ვცდილობთ, დრო მოვიგოთ იქამდე, ვიდრე მსოფლიო ჩამოყალიბდება. ეს უკვე მოგვწონს თუ არა, პრაგმატული პოლიტიკაა, რომელიც აბსოლუტურად მისასალმებელია, რადგან დღეს ჩვენ ვართ თვითგადარჩენის რეჟიმში და ვიდრე ვნახავთ რა მოხდება რუსეთთან მიმართებაში მსოფლიოში, ჩვენი ვალია, არ გავალიზიანოთ რუსეთი და შევინარჩუნოთ ის მაინც, რაც გვაქვს.

ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან, კერძოდ რუსეთთან დაკავშირებით, არიან უკმაყოფილონიც, რომ კურსი არც ისე სწრაფად შეიცვალა და არც ისე რადიკალურად, როგორც ამას იმედოვნებდნენ. თუმცა, ბევრისთვის ძალიან დიდი შედეგია ისიც, რომ გადაიდგა ნაბიჯები ურთიერთობის მოგვარებისთვის. რა გააკეთოს მეტი საქართველოს ხელისუფლებამ? იმაზე წავიდეს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცნოს?

რომ დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინოს რუსეთთან ამ პირობებით? ეს ღალატის ტოლფასი იქნება. თავის მხრივ კი რუსეთი, როგორც ვხედავთ, მისი იმპერიული ბუნებიდან გამომდინარე არ აპირებს არაფრის დათმობას.

ასე რომ, როდესაც დიდ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ ეს ყოველივე გასათვალისწინებელია. მითუმეტეს თუ ამას ემოციის დონეზე ვარკვევთ.

3. დიდი პოლიტიკა ჩვენი ემოციების მიღმა დგას

ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ისტორია მახსენდება: ერთხელ ერთმა ამბიციურმა და საკმაოდ გავლენიანმა ქალბატონმა ნაცნობი მუსიკოსი მიიპატიჟა და მასთან ერთად მოისურვა ბრამსის მუსიკის მოსმენა. ნაწარმოების შესრულების დროს ის არ იშურებდა კომპოზიტორის მიმართ შენიშვნებს. რეპლიკებით შეწუხებულმა სტუმარმა მასპინძელი ასე ანუგეშა: „ნუ სწუხხართ ქალბატონო, თქვენს აზრს ბრამსისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“.

დაახლოებით იგივე ხდება, როდესაც დიდ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ. მასზე საუბრის პათოსით კი იმ აღშფოთებული ქალბატონის ემოციისგანაც მაინც და მაინც დიდად არ უნდა განვსხვავდებოდეთ. ეჭვი შეგაქვთ ჩემს ნათქვამში და დასაბუთებას ითხოვთ? — აი, ისიც: „თუ ვინმე ამბობს „არა ევროპას“, ეს ნიშნავს: „არა საქართველოს,“ საქართველოსთვის კრემლის ტანკებზე უფრო საშიში ახლა ჩეკისტების მიერ მოტყუებული, დამფრთხალი, განათლებაწართმეული, დაყრუებული და გაჯიუტებული ადამიანები არიან.

ან კიდევ შეიძლება ასეთი სიტყვებიც მოვისმინოთ: „თუ ვინმე ამბობს „არა რუსეთს,“ ეს ნიშნავს — „არა საქართველოს.“

მართლაცდა, ემოციური მსჯელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა წინ წამოწეული: დასავლეთი და რუსეთი, დასავლეთი და ანტიდასავლეთი, ევროკავშირი თუ ევრაზიული კავშირი?

XVIII საუკუნის მიწურულის „საქართველოებშიც“ გარე სამყაროს ხომ მხოლოდ ორ ფერში აღიქვამდნენ: შავსა და თეთრში. შავი, რა თქმა უნდა, ოსმალეთი და სპარსეთი იყო, თეთრი — რუსეთი. მაშინ რუსებს, როგორც მეგობრებს აქეთ ვეპა-

ტიუებოდით დასახმარებლად. თუმცა როგორც დავინახეთ, მათ ჩვენი მოშატიუების გარეშეც, თავადაც ჰქონიათ სურვილი აქ შემობრძანების და დამკვიდრების.

ეს შედარება შემთხვევით არ გამიკეთებია, ოღონდ ეგ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ პოლიტიკური ინტერესების მქონე სახელმწიფოთა რაოდენობა ამჯერადაც არა სამის, არამედ კიდევ უფრო მეტი წევრითაა წარმოდგენილი: აშშ, რუსეთი, თურქეთი, ევროკავშირი, ირანი, ჩინეთი, ინდოეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი... სიჩქარეში ხომ არ გამომრჩა რომელიმე?

ეს კი იმას ნიშნავს, რომ 15-20 წლის შემდეგ სხვა რეალობაში ვიცხოვრებთ, მითუმეტეს, თუ ევროკავშირი საბჭოთა კავშირის ბედს გაიზიარებს, ხოლო რა იქნება რუსეთი პუტინის გარეშე, ისიც არცთუ მეგობართა გარემოცვაში, შეძლებს გაუძლოს მათ დაჟინებულ მზერას? ესეც დროის საკითხია.

* * *

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზეც, თუ რატომ გვგონია, რომ დიდი პოლიტიკა ჩვენი ემოციების მიღმა დგას?

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე იხსენებს:

2008 წლის 21 თებერვალს შედგა პრეზიდენტ სააკაშვილის და მაშინ ჯერ კიდევ პრეზიდენტ პუტინის შეხვედრა, სადაც პუტინს უკვე გამზადებული ჰქონდა ჩვენთან სალაპარაკო თემები. მაშინ, ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ საქართველო დაისჯება დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების გამო. თუმცა, პუტინმა დაამატა, ეს თქვენი ბრალი არაა, ეს დასავლეთის ბრალიაო, რაც მთავარია, თქვენი გეოპოლიტიკური განლაგების ბრალიაო. მიხეილ საკაშვილმა მაშინ მას ჰკითხა, საქართველოს და რუსეთის ნორმალური ურთიერთობა აღდგება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ უარს ვიტყვით ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზეო? პუტინმა უპასუხა: თქვენ არავინ არ გეკითხებათ, თქვენ მაინც შეგათრევენ ნატოში და თქვენს ტერიტორიაზე მაინც განალაგებენ რაკეტებს. ამიტომ, ამ თემაზე ლაპარაკი საჭირო არ არისო," — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

კიდევ ერთი რესპონდენტი, რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასესკუა, რომელმაც რუმინულ გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა: „კოსოვოს შემდეგ, რომლის დამოუკიდებლობის აღიარებასაც რუსეთი მხარს არ უჭერდა, კრემლმა მიიღო საქართველო. თუკი ასადის მთავრობა დაეცემა და რუსეთი ახლო აღმოსავლეთში იმიჯს დაკარგავს, ყველაზე მარტივი იქნება მისთვის სანაცვლოდ დნესტრისპირეთის დათმობა."

საინტერესოა სსრკ-ის ყოფილი გენმდივნის განაცხადებაც, რომელიც მან უკრაინაში დატრიალებულ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე გააკეთა: „გორბაჩოვმა ზუსტად დაასახელა ის ორი ქვეყანა, რომელთაც უკრაინის პრივატიზირება სურთ". ეს არის აშშ და რუსეთი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 50-მილიონიანი სახელმწიფო გაეხვევა სამოქალაქო ომში, დაიშლება ნაწილებად... და თუ მომხდარის მიუხედავად შეინარჩუნებს სიმშვიდეს და ერთიანობას, ეს უკვე უკრაინელი ხალხის გადასაწყვეტი კი არაა, არამედ მათი, ვის ხელშიცაა დღეს უკრაინის ბედი.

> აი, ეს კი უკვე უკანასკნელი ამბავია: თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ ევროკავშირმა უნდა შეიგნოს, თურქეთთან არ შეიძლება საუბარი ისეთივე ულტიმატუმის ფორმით, რომელსაც ევროკავშირი იყენებს უკრაინასა და საქართველოსთან. „მათ უნდა გაიგონ, რომ თურქეთთან საქმის ასე წარმართვა არ შეიძლება. ისინი ასე იქცეოდნენ უკრაინასთან: „ან ჩვენთან ხართ, ან არა". საქართველო იძამდე მიიყვანეს, რომ ორი რეგიონი დაკარგა. ევროკავშირმა ასეთ მიდგომაზე უარი უნდა თქვას", — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში.

* * *

და მაინც ის, რაც წითელ ხაზად გასდევს ჩვენს დღევანდელ მსჯელობას — სად არის გამოსავალი?

მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ერთიანობაში. საქართველოს აღორძინება ხომ წარმოუდგენელია ერთიანი ხალხის, ანუ ნაციის არსებობის გარეშე.

„ნაცია" კი მხოლოდ ერთი ერის წარმომადგენელთ როდი გულისხმობს, იგი გულისხმობს ერთიანი კულტურის, ერთიანი ენის და ერთიანი სახელმწიფოებრივი თვითშეგნებით გაერთიანებულ ხალხს. ამიტომ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ თუ როგორ შევძლოთ შერიგება ჯერ თავად ქართველთა, ხოლო შემდგომ ქართველთა, აფხაზთა და ოსთა, საქართველოს გამთლიანება რომ მოხდეს.

დღეს, როდესაც ვცხოვრობთ დეტერმინირებულ მსოფლიოში, სადაც განსაზღვრულია ცალკეული სახელმწიფოების არსებობის მიზანშეწონილობაც კი, მხოლოდ ძლიერ და კონსოლიდირებულ ერებს ექნებათ შესაძლებლობა გაუძლონ დიდ ისტორიულ კატაკლიზმებს.

არის კი ეს შესაძლებელი? არის. ამის მაგალითს კი ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერი — ფინელები გვაძლევენ. თავის დროზე მათ თავიანთი ერთობით შეძლეს ქვეყანა გადაერჩინათ სტალინის შემოტევისაგან, გაუძლეს ჰიტლერის ჭირვეულობებს, „ცივი ომის" დროს დაპირისპირებულ მხარეებს არ მისცეს შესაძლებლობა ფინეთის გამოყენების, ხოლო, როდესაც ყველამ დაინახა ამ პატარა, მაგრამ ამაყი ხალხის ნება, ამან შედეგი გამოიღო, ფინეთს თავი დაანებეს.

ფინელი ხალხის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, თუ თავისუფლების სიყვარულმა, როგორ გაუძლო ყველა გასაჭირსა და გამოცდას. ფინელებმა შეინარჩუნეს თავისი სახელმწიფოს რწმენა, კულტურა, ტრადიციები და უკიდურეს ჩრდილოეთში, ყინულოვან მიწაზე შეძლეს ქვეყნის აღორძინება და უძლიერეს სახელმწიფოთა შორის ადგილის დაკავება.

ამიტომ ამ გადასახედიდან ერთი რამ ცხადია: განურჩევლად პარტიული ინტერესებისა, უნდა ვიყოთ კონსოლიდირებული და ხისტი ერთ საკითხში, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობა არაფრის ფასად არ გაიცვლება. მიუხედავად საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის დიდი დაპირისპირებისა, უნდა მივაღწიოთ საზოგადოების კონსოლიდირებას, რათა მთელი რიგი საკითხების მიმართ შეგვეძლოს საჭირო დროს, მითუმეტეს თუ ეს ქვეყნის ინტერესებს ეხება, კონსენსუსის მიღწევა.

დროა დავინახოთ, რომ ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნება, ქვეყნის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ ნაციონალური ერთიანობის მეშვეობითაა შესაძლებელი. მაგრამ როგორ შევძლოთ, როგორ მოვახერხოთ ეს ყოველივე? მითუმეტეს, რომ არსებითად დღეს, ქართული კულტურა, ისე როგორც განათლების სისტემა, რომელმაც უნდა აღზარდოს თაობები პატრიოტული სულისკვეთებით, ქვეყანაში განადგურებულია, ვერაფერი ახალი, სერიოზული და მნიშვნელოვანი ვერ იქმნება. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს არა აქვს სამოქმედო პროგრამა, მიზანი და საშუალება, რათა შექმნას ახალი ბირთვი, ახალი ძალა ქვეყნის განათლებული მომავლისა. ეს ყველაფერი შესაქმნელია.

> **თუ ვინმე ამბობს „არა ევროპას", ეს ნიშნავს: „არა საქართველოს," საქართველოსთვის კრემლის ტანკებზე უფრო საშიში ახლა ჩეკისტების მიერ მოტყუებული, დამფრთხალი, განათლებაწართმეული, დაყრუებული და გაჯიუტებული ადამიანები არიან.**

> ამიტომ დღეს არ არის იმის დრო, რომ ერთმანეთს ანგარიშები ვუსწოროთ, თუნდაც სხვადასხვა შეხედულებისა ვიყოთ ამა თუ იმ საკითხზე. ვინმეს თუ უპატიებელი დანაშაული აძვს ჩადენილი, ამაზე პასუხი მათ მართლმსაჯულებამ უნდა გასცეს და არა ადამიანების ცალკეულმა ჯგუფებმა. რის ფასადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა მოვახერხოთ ჩამოვაყალიბოთ ქვეყანაში ერთიანი ეროვნული ცნობიერება. მხოლოდ ასე თუ შევძლებთ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას და საქართველოს და ქართველი ხალხის დახსნას ამ ურთულესი განსაცდელისგან.

გიორგი მჭედლიშვილი

◎ საკრედიტო ბაზარი

ამაოა მოვალეთა ჩივილი...

ერთმა ცნობილმა ლიტერატურულმა თაღლითმა მოქალაქეთათვის ფულის ართმევის მეტ-ნაკლებად კანონიერი ოთხასი ხერხი იცოდა. როგორც ჩანს, მისი მაგალითი ჩვენში მოსახლეობაზე ფულის გამპროცენტებელთათვის ერთობ გადამდები აღმოჩნდა, რომლებიც დროდადრო გასესხების ახალ-ახალ მეთოდებს იგონებენ.

ბოლო დროს საქართველოს საკრედიტო ბაზარზე, რომელზეც უძველესი დროიდან მოსული კერძო მევახშეთა ინსტიტუტის ჩამნაცვლებელი კომერციული ბანკები, ნაირ-ნაირი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები დიდი წარმატებით მოქმედებდნენ, ერთგვარად „ახალი სტილის" დამნერგავი მეტად სპეციფიკური მოთამაშეები — ეგრეთ წოდებული „ყოველდღიური სესხების" გამცემები გაჩნდნენ.

ამ ტიპის ორგანიზაციების სწრაფი სესხების გაცემის პირობები იმ პირებზეა გათვლილი, ვინც თავისი მოღვაწეობის შედეგად შემოსავალს ყოველდღიურად იღებს. ისინი მაქსიმუმ სამთვიანი სესხის პროცენტს ყოველდღე იხდიან, რომელიც ხშირად საკმაოდ დიდია. იმ შემთხვევაში კი, თუკი მიზეზთა გამო, მსესხებელმა პროცენტის თანხის გადახდა თუნდაც ერთი დღით შეაყოვნა, მას დამატებით საჯარიმო პროცენტები ემატება. სასესხო ხელშეკრულებები, ცხადია, ნოტარიუსთან ფორმდება, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მსესხებელს აუცილებლად ვალის დაბრუნების თავდები პირი უნდა ჰყავდეს. არავის გაუკვირდება, ალბათ, რომ სესხის თაობაზე ხელშეკრულებების პირობები, არსებითად, გამსესხებლის ინტერესებზეა მორგებული, რომლის დარღვევის შემთხვევაში ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს, რის საფუძველზე გამსესხებელ ორგანიზაციას მსესხებლის, ანდა მისი თავდების ქონების დაყადაღება შეუძლია და გაცემული თანხის ამ გზით დაბრუნება. პროცენტების გადახდის დამგვიანებელ მსესხებელს საკუთარი ინტერესების დაცვა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი ჯარიმის, პირგასამტეხლოს თანხა ძალიან დიდია, ანდა მხარეებს შორის დავის სხვა საფუძველი არსებობს, რაც მას სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძველს აძლევს. ქონების დაყადაღების თავიდან არიდების სხვა გზა ისაა, რომ გამსესხებელთან ნოტარიული ხელშეკრულების გაფორმებისას ამ ტიპის მუხლი საერთოდ არ ჩაიდოს. რამდენად რეალურია ეს ვარიანტი, ეს უკვე მხარეთა ერთმანეთისადმი ნდობასა და შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

ბუნებრივია, რომ ყოველდღიურად სესხის პროცენტის გასტუმრება, მით უმეტეს ხელშეკრულების პირობების გამო საჯარიმო სანქციების მუდმივი წნეხის ქვეშ, საკმაოდ მძიმე ტვირთია, მაგრამ, პრაქტიკა მოწმობს, ამ ტიპის გამსესხებელი კომპანიების კლიენტურა დღითი დღე მატულობს. არადა, ერთობ საყურადღებო გარემოება ის გახლავთ, რომ ამ ტიპის კომპანიები, კომბანკების, ლომბარდებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, საკუთარი თავის რეკლამირებას დიდად არ ცდილობენ. ისინი მომხმარებლის მიზიდვას არც საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაკრული სარეკლამო პლაკატებით, ან ქუჩის ბანერებით ცდილობენ. მეტიც: შესაბამისი საიტები არც ინტერნეტშია განთავსებული, კლიენტებს კი მათი აგენტები უშუალოდ მათი „ბუდობების" ადგილებში — აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებში აკითხავენ.

სწრაფი სესხების, ისევე, როგორც საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების აღებისას, ცხადია, სხვა პირობებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საპროცენტო განაკვეთს და პირგასამტეხლოზე დათქმულ სანქციებს, მაგრამ ყოელდღიურად პროცენტების გადამხდელთა რისკები გაცილებით სხვა სახისაა და მათი ტვირთი, არსებული მონაცემებით, უკვე ბევრმა იგემა. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ვაჭრობაში, რომელიც ყოველდღიური სესხების ამღებთა აბსოლუტური უმრავლესობის საქმიანობაა, ერთი დღე მეორეს არ ჰგავს, გარკვეული ჩავარდნა (თანაც რამდენიმედღიანი), ჩვეულებრივი საქმეა, რაც მსესხებელს უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აგდებს. ამის გამო ძალიან ბევრი მოვალე ჩივის, თუმცა მათი შველა საკმაოდ პრობლემური საკითხია. ეს კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ **ქვეყნის საკრედიტო ბაზარზე აუცილებელია გონივრული რეგულაციების შემოღება,** რომლებიც უფულო ხალხის ხარჯზე ფულის შეუბრალებელ გამსესხებლებს ჯიბის გასქელების საშუალებას შეუზღუდავენ.

ოთარ ტურაბელიძე

მიზანმიმართული სიცრუე მერიის მისამართით

„ახალი ამბების სააგენტო „თაიმერის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, ხანდაზმულ ანა გაგუას, კუთვნილი 1000 ლარის ნაცვლად, თბილისის მერიამ შპს „ჰერმესის" სარიტუალო მომსახურება შესთავაზა, არის ტყუილი! ეს არის მიზანმიმართული სიცრუე და არაპროფესიონალიზმი.

სააგენტომ გამოიყენა 1 წლის წინანდელი ცრუ ინფორმაცია და გუშინ, გვიან ღამით, გაავრცელა ის, როგორც ახალი ამბავი. იმის მიუხედავად, რომ 2015 წელს, აღნიშნულ საკითხზე გაკეთდა განმარტება და ანა გაგუას ოჯახის წევრებმა — ანა მამრიკაშვილმა და მისმა მეუღლემ ალექსანდრე კუტუბიძემ აღიარეს ბებიისთვის სარიტუალო მომსახურების შეთავაზებაზე ხუმრობა. თუმცა, „თაიმერისთვის" ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გუშინ სააგენტომ „ახალი ამბავი" გაავრცელა რეალური რიცხვით — 11.07.2016. ახლა კი თარიღი შეცვლილია და მითითებულია — 11.07.2015. თითქოს, შარშან განთავსდა მათ ვებ გვერდზე. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს მერიის მხრიდან სარიტუალო მომსახურების შეთავაზებაზე ცრუ ინფორმაცია 3 ივლისს გავრცელდა და არა 11 ივლისს. რაც მოწმობს იმას, რომ, ამჟამად, სააგენტოს გვერდზე არსებული მასალა ვერ იქნება 2015 წელს დაწერილი „ახალი ამბავი".



აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სააგენტო „თაიმერი" ცრუ ინფორმაციას განზრახ, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით ავრცელებს", — პასუხობს თბილისის მერია მედიით გავრცელებულ ინფორმაციას.

დრო ცვლის შეფასებებს

არტემ ფეოდოროვიჩ სერგეევი — კაცრის სამხედრო, არტილერიის გადამდგარი, ფრონტგამოვლილი გენერალ-ლეიტენანტი, ვისთვისაც ომი საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის მეოთხე დღეს დაიწყო და გამარჯვების გამოცხადების მეოთხე დღეს დამთავრდა. არტემი — უდროოდ დაღუპული რევოლუციონერის, ლენინისა და სტალინის თანამებრძოლის — არტემის ვაჟიშვილი, იოსებ ბესარიონის ძის ოჯახში იზრდებოდა, ვინაიდან მამის — ამხანაგი არტემის სიკვდილის შემდეგ სტალინმა პატარა არტემი იშვილა.

უცნობი გენერალისიმუსი...

ნადეჟდა ალილუევა და სტალინის საყვარლები

„ზავტრა“: — ნადეჟდა სერგეევნას სიცოცხლის ბოლო დღეებში ბევრი რამ გაბუქული ითქვა.

ა.ს.: — ნადეჟდა სერგეევნას საშინელი თავის ტკივილები ჰქონდა, გამუდმებული, აუტანელი ტკივილები. წაივლებდა თავზე ხელს და წამოიყვირებდა: „თავი ვაიმე, თავი, თავი!“... ნადეჟდა სერგეევნა ხშირად იყო გერმანიაში, იქ მისი უფროსი ძმა მუშაობდა და ვითომ მის სანახავად მიდიოდა, თუმცა სინამდვილეში უნდოდა იქაურ პროფესორებს გასინჯვოდა. მაშინაც, 1932 წლის შვიდი ნოემბრის წინა საღამოსაც და პარადზეც, ხელი სულ თავზე ედო — თავის აუტანელი ტკივილი ტანჯავდა. პარადი მაშინ ოთხ საათს — რვიდან თორმეტ საათამდე გრძელდებოდა. მე და ნადეჟდა სერგეევნა მავზოლეუმის შესასვლელის წინ ვიდექით, მაგრამ იმის გამო, რომ ტკივილს ვეღარ გაუძლო, პარადის დამთავრებისთვის არ დაუცდია, ადრე წავიდა. მე და ვასილი კი, პარადი დამთავრდა თუ არა, პირდაპირ აგარაკზე წავედით. და აი, სწორედ იმ საღამოს მოხდა ის უბედურება...

ნადეჟდა სერგეევნა „გუმის“ შენობაში იყო დასვენებული. წითელი მოედნის მხარეს, შენობის ცენტრში არის ნიში, საიდანაც მეორე სართულზე ადის კიბე, რომლის იქითაც სათავსოა და სწორედაც იქ იდგა მიცვალებულის კუბო. სტალინი პირდაპირ ქვითინებდა და ვასილი სულ კისერზე ეკიდა, ეხვეწებოდა — მამა, ნუ ტირი, გეყოფა, ნუ ტირიო!

კუბო იქიდან გამოიტანეს. კატაფალკის უკან სტალინი მიაბიჯებდა, მერე ორკესტრი მიდიოდა, ჩვენ ორკესტრს მივყვებოდით უკან. სასაფლაოზე სამარის ერთ მხარეს სტალინი ედგა, ვასილთან ერთად ჩვენ მეორე მხარეს ვიდექით და ყველაფერს ვხედავდით. სტალინი მწუხარებისგან განადგურებული იყო, მუჭით მიწა აიღო და სამარეს მოაფრქვია. გვითხრეს, თითო მუჭა მიწა ჩვენც ჩაგვეყარა საფლავში. რატომო? — რომ ვკითხეთ, გვითხრეს, რომ ასე იყო საჭირო.

— ახლა ბევრს ლაპარაკობენ სტალინის საყვარლებზე?

— ამის შესახებ იმ ადამიანებისგან, ვინც იმ აგარაკებზე ცხოვრობდა, ვინც იქ გამუდმებით ტრიალებდა, არასოდეს არაფერი გამიგია. არც დედაჩემს სმენია ამის შესახებ არასოდეს არაფერი. არც იმათგან გამიგია რაიმე ამგვარი საუბარი, ვისაც შეიძლებოდა ნდობოდი — არც სტალინის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების შემდეგ.

სტალინი მეუღლესთან ერთად

— არ იყვნენ იქ ქალები?

— იყვნენ, მაგრამ, ასეთი რამ იმ ქალებისგან, ვინც იქ იყო, გამორიცხულია. მაგალითად, მზარეული, ან სახლმმართველი ნადეჟდა ვასილევნა ტილი, რომელიც ჯერ კიდევ ნადეჟდა სერგეევნას სიცოცხლის დროს იყო იქ და მანამდე დარჩა, ვიდრე 1938 წელს პენსიაზე არ გავიდა. ცხოვრობდა ძალიან მოკრძალებულად. ბოლოს ის ვასილიმ წაიყვანა თავისთან. ხოლო ძიძა, რომელიც პენსიაზე იყო, სიცოცხლის ბოლომდე სვეტლანასთან ცხოვრობდა. 1939 წლიდან სახლმმართველად მუშაობდა ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ნაკაშიძე, ვის შესახებაც სვეტლანა თავის წიგნში წერს — ეს ქალი ლამის სახელმწიფო უშიშროების მაიორიაო... ანკი, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო, როცა ყველა ის ქალი, მომსახურეებიცა და დამხმარეებიც, დაცვის მეცხრე სამმართველოში შედიოდნენ... იცინის — ძიძას სერჟანტის წოდება ჰქონდაო — ვითომ, რატომაც არა?! ეს ქალი მსახურობდა, ხოლო რახან სამხედრო იყო და მსახურობდა, ცხადია, სხვა დამატებითი პასუხისმგებლობაც ჰქონდა... უცნაური ის არის, ამას სვეტლანა რომ ამბობს, ადამიანი, ვინც მათ შესანიშნავად ექცეოდა.

ბოლოს ალექსანდრა ნიკოლოზის ასული გათხოვდა და სახლმმართველი ვალეჩკა ისტომინა გახდა — არაჩვეულებრივი სოფლელი გოგონა! მახსოვს, მუშაობა რომ დაიწყო, ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. მატრენა ბუტუსოვა უფროსი მიმტანი იყო (სიტყვა „ოფიციანტი“ მაშინ არ არსებობდა), ხოლო ვალეჩკა-მორე... რაღაც დროის შემდეგ სწორედ ის გახდა სახლმმართველი... ამბობენ, სტალინი რომ მოკვდა, პირდაპირ ღრიალებდაო. ბოლოს დაცვაც და ყველა, ვინც კი იქ იყო, გაყარეს.

მაგრამ, სტალინიც ხომ ადამიანია! ხოლო ვალეჩკა, მართლაც, არაჩვეულებრივი გოგო იყო, ნამდვილი სასწაული — ლამაზი, გულუბურყვილო, უბრალო რუსი ქალი, ყოველგვარი პრანჭვა-გრეხისა და მეტიჩრობის გარეშე. მერედა, ვის რას უშლიდა, ვის რა ზიანს აყენებდა, თუ იყო ერთგულება და სიყვარული?... სამიგი, არ არიან ნამდვილი წითლები, და იმის გამო, რომ ერთმანეთთან მისვლა, ერთმანეთთან დაახლოება არ შეუძლიათ, იბრძვიან... არასოდეს იფიქრო, რომ ადამიანები, ანუ მთელი მასა ადამიანებისა ან ძალიან წითლები არიან, ან ძალიან თეთრები. ასეთები, ანუ ძალიან წითლები და ძალიან თეთრები მხოლოდ ხელმძღვანელები არიან, ყველაზე განათლებული, ყველაზე შეგნებული ადამიანები. ხალხი ან ერთისაკენ მიდის ან მეორისაკენ, თუმცა, ხშირად ეშლებათ და იქით არ მიდიან, საითაც საჭირო. აი, ასე აგვიხსნიდა ხოლმე მე და ვასილის ბევრ რამეს.

— როგორ ფიქრობთ, არტემ ფეოდოროვიჩ, გრძნობდნენ სვეტლანა და ვასილი თავიანთ გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობას?

— არა, სვეტლანა ძალიან მოკრძალებული გოგო იყო, ცდილობდა, გამიჯვნოდა თავის ელიტარულობას, მას ეს არ უყვარდა, თავი ყოველთვის უბრალოდ ეჭირა. რაც შეეხება ვასილს, პირდაპირ უნდა ითქვას, იმის გამო, რომ მამამისი სახელმწიფოს პირველი პირი ბრძანდებოდა, მისი ცხოვრება თავიდან ბოლომდე ტრაგედია იყო, თავისთავად ვასილი ნიჭით მრავალმხრივ დაჯილდოებული. ძალაუფლების, მაგრამ არა სიმდიდრის მოყვარული გახლდათ, სრულიად უანგარო — შეეძლო ყველაფერი გაეცა, მეგობრისთვის სიცოცხლეც კი გაეწირა... სკოლაში სწავლის დროს ხშირად ჩხუბობდა, მაგრამ პატარებთან და სუსტებთან არასოდეს. ჩხუბს უფრო ხშირად რაღაც კამათის, რაღაც წყენის გამო იწყებდა, ანდა იმის გამო, რომ ვიღაცა ვიღაცას ჩაგრავდა. ჩხუბობდა თავისზე გაცილებით უფროსებთან და, როგორც წესი, ყოველთვის სუსტების მხარეს იყო. ამ დროს ხშირად მაგრადაც მოხვედრია, მაგრამ, არასოდეს დაიწუწუნებდა, მცემესო, არასოდეს დაიჩივლებდა, ეს მას სამარცხვინოდ მიაჩნდა... საუკეთესოდ თამაშობდა ფეხბურთს, იმდენად, რომ დიდებს ყოველთვის აჰყავდათ გუნდში, მაგრამ არა გვარის, არამედ მისი ფეხების გამო. ბილიარდს კი ბავშვობიდან მართლაც დიდებულად თამაშობდა.

იყო ძალიან ხელმარჯვე, უყვარდა შრომა. დღემდე ვინახავ მისი ხელით მოხატულ ზღვის ბრტყელ კენჭებს. მაქვს მის მიერ უფაში ლამაზად ჩასმული ბლოკნოტი, რომელშიც მისი ნახატები და სურათებია. როცა ეს ბლოკნოტი გააკეთა, ვასილი მაშინ მხოლოდ ათი წლის იყო... უყვარდა ცხოველები, ხან კურდღელი ჰყავდა სახლში, ხან ზაზუნა, ხან თევზები და ხანაც თეთრი თაგვები.

შეკვეთით მასზე ათას სისაძაგლეს წერდნენ, რაც ახლოსაც არ იყო სიმართლესთან... ერთხელ „ოგონიოკში“ ვინმე უვაროვამ გამოაქვეყნა სტატია ვასილის შესახებ. ეს იყო გულისამრევი სიცრუე. ის ქალი ამბობს,

ვასილი და სვეტლანა მამასთან

რომ ვასილის გერმანულის მასწავლებელია (მაშინ როცა იმ სკოლაში არასოდეს უმუშავია), რომ ვასილის კლასში მასაც დასცინოდა და თავის თანაკლასელებსაც. უპირისპირებს თემურ ფრუნზეს (თუმცა ისინი ერთ კლასში არ სწავლობდნენ, ერთი მერვე კლასში იყო, მეორე — მეცხრეში), რომელიც ძალიან კარგი მონაფეა, ხოლო ვასილი ძალიან ცუდი... ვასილი სულ საზღვარგარეთულ ტანსაცმელშია გამოპრანჭულიო, მაშინ, როცა უცხოური ღილიც რომ ჰკერებია სამოსზე, მამამისი ფანჯრიდან ისროდა... საერთოდაც, სახლში უცხოურს ვერაფერს იტანდნენ... იმ სტატიაში ოცდაშვიდი ათანაირი სიცრუით და სისაძაგლით სავსე სტრიქონი დავთვალე, დიახ, ათასნაირი სიცრუით და სისაძაგლით სავსე.

ვასილის თანაკლასელები იმ სტატიის გამო აღშფოთებულები იყვნენ, რჩევას მეკითხებოდნენ, ხომ არ მივწეროთ იმ ჟურნალის რედაქტორს — კოროტიჩს, რაც იქ წერია, ყველაფერი სიცრუეაო. მაგრამ, მე მათ ვუთხარი, რომ კოროტიჩმა ის სიცრუით სავსე სტატია შეგნებულად გაუშვა, ის კი არა, შეიძლება შეუკვეთა კიდევაც...

(გაგრძელება იძნება)

სტალინი. პირადი ცხოვრება

ორტემ სერგეევის მოგონებები

ე. გლუშიკისა და ო. სტრელცოვას მასალების მიხედვით. გაზეთი „ზავტრა“

წუხაროდ, მას შემდეგ მე ის აღარ მინახავს. ამბობენ, ძალიან ცუდად აეწყო მისი ცხოვრებაო...

ამის შესახებ — ამ სიმპათიის, ამ სიყვარულის შესახებ, ჩვენ სახლსა და ოჯახში სიტყვაც არასოდეს არავის დაუძრავს... საინტერესო ისაა, ვინ არის ახლა ასეთი ყოვლისმცოდნე? საიდან ან ვისგან აქვს ასეთი ცნობები?! საიდან გაჩნდნენ ეს ყველასა და ყველაფრის მცოდნეები, ვინ არის, ვინც მისი ცხოვრების ყველა დეტალი ასე ზუსტად იცის?!

სვეტლანა და ვასილი

„ზავტრა“: — არტემ ფეოდოროვიჩ, როგორია იოსებ ბესარიონის ძე სტალინის შესახებ თქვენი პირველი მოგონებები?... მასთან თქვენი პირველი შეხვედრა თუ გახსოვთ? როგორ გექცეოდათ ბავშვებს?

ა.ს.: — სტალინთან ვერც პირველ და ვერც მეორე შეხვედრაზე ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან, რაც ჩემი თავი მახსოვს, ისიც იმ დღიდან და იმ დროიდან მახსოვს, იმ დროიდან მახსოვს მის მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემაც... მართალია, რაღაც საკითხებში ცოტა მკაცრი იყო, მაგრამ ჩემთვის ის ყველაზე კეთილი, ყველაზე თბილი, ყველაზე სამართლიანი ადამიანი გახლდათ. როცა დრო ჰქონდა, ბავშვებს უყურადღებოდ არასოდეს გვტოვებდა. დღისით მოვიდოდა სამსახურიდან თუ ღამით, თუ არ გვეძინა, ჩვენთან რამდენიმე წუთით მაინც აუცილებლად მოვიდოდა, რაღაცას აგვიხსნიდა, რაღაცას გვასწავლიდა... მისგან ყოველთვის რაღაცას ვსწავლობდით, მაგრამ არ იყო ეს მომაბეზრებელი, არ იყო თავსმოხვეული ძალდატანება... შეეძლო ისე ჩაეყოლიებინე საუბარში, ვერც კი მიმხვდარიყავი, თავი უჭკუოდ და უბირად არ გეგრძნო... მოგცემდა რაიმე სადიდო კითხვას და — აბა, ამის შესახებ რას ფიქრობო, — გეტყოდა. თუ ვერ უპასუხებდი, ისე უბრალოდ, ისე გასაგებად აგიხსნიდა, აზრს მაშინვე ბოლომდე ჩასვწვდებოდი, თუმცა, არასოდეს არაფერს გახვევდა.

მაგალითად, მე და ვასილიმ „ტურბინების დღეებს“ რომ ვუყურეთ და სახლში მოვედით (ეს იყო 1935 წელს), სტალინი გვეკითხება — მაინც რა იყო იქ, რა ნახეთო? (სხვათა შორის, სტალინი მე და ვასილის ხშირად გვაგზავნიდა თეატრში). მეც ავდექი და პირდაპირ ვუთხარი: „ვერაფერიც ვერ გავიგე, აბა, ეს როგორაა?! ომია, მაგრამ, ვინ ვის ებრძვის, ვერ იგებ... წითლები არ არიან, არიან მხოლოდ თეთრები და მაინც იბრძვიან, თუმცა, ვისთან იბრძვიან, გაუგებარია!“ „და, იცი, რატომ? — მეუბნება სტალინი, — წითელი და თეთრი ორი უკიდურესობაა, წითელსა და თეთრს შორის დიდი სივრცეა, ბრძოლის დროს, ერთნი ძალიან თეთრები არიან, მეორენი ოდნავ მოვარდისფროები, ესე

ეეჰ, როგორ დაბინძურებულა ცა-ფირუზ, ხმელეთი-ზურმუხტი ქვეყანა!

სულ ახლახან საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტო IEA-მ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც ჰაერის დაბინძურების მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

ღრმად რომ ჩავწვდეთ ამ ანგარიშის რაობას, უპირველესად უნდა ვთქვათ, რომ ჰაერის დაბინძურება ნიშნავს ფილტვების სიმსივნეს, ფილტვებისა და გულის ქრონიკულ დაავადებებს, დაბალ შობადობას, ტუბერკულოზს, კატარაქტას, ხორხის სიმსივნეს და ა. შ. კვლევაში მოცემულია მოკვდაობის მაჩვენებელი საქართველოში — ყოველ 100000-ს კაცზე, 290.

2012 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების მიზეზით 7 მილიონამდე ადამიანი გარდაიცვალა.

სავალალო მდგომარეობაა, რასაც უდავოდ კომპლექსური მიდგომა ესაჭიროება და არა ისეთი ქარაფშუტული განცხადებები, რასაც წლების განმავლობაში ვისმენთ. გახსოვთ, ალბათ, ეკოლოგიის საკითხებში მსოფლიო ფორუმზე მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ღარიბაშვილის ომახიანი გამოსვლა, თან იმის მტკიცედ დაფიქსირება, რომ საქართველო იცავს უცხოეთის რეკომენდაციებს. დასამახსოვრებელი იყო პრემიერის სიტყვა იმდენად, რამდენადაც აღსავსე იყო არა კონკრეტული მსჯელობით, არამედ ზედაპირული, ლოზუნგური შემართებით.

დასამახსოვრებელი იყო ე.წ. ზოგიერთი ექსპერტ-პოლიტოლოგის შეფასებებიც: — გლობალურ კონფერენციაზე საქართველოს მონაწილეობა, რომელსაც არც ქარხანა აქვს და არც ფაბრიკა — სასაცილოა. იქ ისეთი ქვეყნები მონაწილეობენ, მრეწველობა რომ აქვთ და აქედან გამომდინარე — პრობლემებიცო.

ზოგიერთი ექსპერტის გაგებით, ჰაერის დაბინძურებაზე მარტო ქარხნის გამონაბოლქვი მოქმედებს. არადა, არანაკლები ზიანი მოაქვს წიაღისეულის არასტანდარტულ მოპოვებას, მშენებლობას, მწვანე ნარგავების, ხეების გაჩეხვას, მშენებლობაში ჯანმრთელობისთვის საზიანო დაბალი ხარისხის საშენი მასალების, მოსაპირკეთებელი ფილების (კაფელის, მეტლახის) გამოყენებას, გზის საფარი ასფალტის უხარისხო ბიტუმისგან დამზადებას, უხარისხო ავტოსაწვავის გაყიდვას, გაუმართავი 15-20 წლის ავტომანქანების ექსპლუატაციას და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს უმალ გასცა პასუხი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა: „ჩვენ აუცილებლად შემოვიღებთ სწორ სისტემას ტექნიკური დათვალიერების, რომელიც ხელმისაწდომი იქნება, კორუფციისგან თავისუფალი სისტემა საუკეთესო ევროპული პროექტის მიხედვით“. პრემიერმა „ნაციონალური“ მმართველობის პერიოდიც გააკრიტიკა ავტომანქანების ტექდათვალიერების გაუქმებისთვის. ასე და ამრიგად, მან ბუნების დაბინძურება მთავარ „დამნაშავეს“ ავტოტექდათვალიერების უქონლობას გადააბრალა.

მართალია პრემიერი. ძველი ავტომანქანები, თანაც გაუმართავი ჰაერს რომ აბინძურებს, ფაქტია, მაგრამ მარტო ძველი ავტომანქანებია დამნაშავე, თანაც კერძო სექტორში არსებული?

არანაკლები დამნაგვიანებლებია კერძო კომპანიების ბალანსზე რიცხული ყვითელი სამარშრუტო ტაქსები, რომლებმაც უკვე ამოწურეს ექსპლუატაციის ვადა, საქალაქო ტრანსპორტი, უკრაინული ავტობუსების „ბოგდანების“ სახით. მათ არათუ ექსპლუატაციის ერთი ვადა ამოწურეს, არამედ რამდენიმე და „დაღლილ-დაქანცულს“, უფრო სწორად დაშლილ-მოშლილს, ისევ გადაჰყავს მგზავრები.

მარტო ავტომანქანის გამონაბოლქვი აბინძურებს ქალაქს?

აბინძურებს, უდავოდ, მაგრამ ვინ უწყობს ხელს ამ დაბინძურებას? განა ხელისუფლება არ არის ჰაერის დაბინძურების მთავარი ხელშემწყობი?

ავტომანქანა ყველაზე მძიმე გაზს დაძვრის დროს გამოჰყოფს. რამდენი ასეთი „დაძვრა“ უწევს მას დღის განმავლობაში? — უამრავი — ქალაქში არსებული დანგრეული გზების სიუხვის გამო. ორმოს დანახვისთანავე მძღოლი იძულებულია შეანელოს სვლა და პირველ-მეორე სიჩქარით იმოძრაოს, რაც მომაკვდინებელი გამონაბოლქვის გაზრდას იწვევს. არ იქნება ორმო და არ იქნება უხვი გამონაბოლქვი.

გამონაბოლქვის უდავო ხელშემწყობია თბილისის ქუჩებში, ხშირ შემთხვევაში, უაზროდ გამოკიდებული შუქნიშნები, რომლებიც მძღოლებს აიძულებენ გაჩერებას და ხელახლა მოძრაობის დაწყებას პირველ-მეორე სიჩქარით — შესაბამისი გამონაბოლქვის გამოფრქვევით.

შუქნიშნების მოწესრიგება ხელისუფლების პრეროგატივაა, ისე, როგორც ქუჩების ორმოების ამოვსება, საკომუნიკაციო ჭების დახურვა და სხვა. ყოველი მცირედი შეფერხება უმალ იწვევს საცობს, გამონაბოლქვი გაზების მოჭარბებულ რაოდენობას, ტრანსპორტელთა ნერვების მოშლას. ყოველივე აღნიშნულის უკან ხელისუფლებაა. მან ვერაფრით შეიგნო, რომ პიკის საათებში ქუჩის ჩაყოლებაზე არსებული ხეებისთვის ტოტების მოჭრა და ამით საცობის შექმნა დაუშვებელია. ის ვერაფრით მიხვდა, რომ საგზაო სამუშაოების წარმოება, ასფალტის დაგება და სხვა, დასვენების დღეებში და ღამის საათებში უნდა ხდებოდეს, საღამოს 8 საათის შემდეგ. ყველა შუქნიშანი მოციმციმე რეჟიმზე გადადიოდეს. ცარიელ ქუჩაზე წითელ ნიშანზე დგომა, თანაც რამდენიმე წუთით, ჰაერის დაბინძურებაა.

ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მშენებლობაა. სამშენებლო ბუმმა წალეკა ქალაქი. აშენებენ ყველგან — ტროტუარიდან დაწყებული, ბაღებით, პარკებით დამთავრებული. აშენებენ ერთმანეთის მიჯრით, ერთმანეთის პირდაპირ 2-3 მეტრის დაშორებით. აშენებენ ვიწრო ქუჩებზე, სადაც ისედაც მცირეა ტრანსპორტის გამტარიანობა.

აშენებენ ქალაქის ცენტრში. აშენებენ უსუფთაოდ, საშენი მასალის (ცემენტის, ქვიშის) მშენებარე სახლის წინ ტროტუარზე დაყრით. სამშენებლო მასალის მტვერი ეფინება ქუჩებს, სახლებს, ავტომანქანებს, ადამიანთა ფილტვებს. წვიმის დროს სამშენებლო მტვერი ყვითელი წვიმის სახით აბინძურებს ავტოტრანსპორტს, ტანსაცმელს, საცხოვრებელი სახლებისა თუ დაწესებულებების მინებს, ფასადებს. ვინ უნდა მიაქციოს ყოველივე ამას ყურადღება? ცხადია ხელისუფლებამ, თუმცა მან ისიც ვერ მოახერხა, რომ აეკრძალა ტროტუარებზე, ბაღებსა და პარკებში მშენებლობა.

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი ქალაქთაგანია, სადაც თავდავიწყებით მიმდინარეობს „მწვანე ფილტვების“ განადგურება. ქალაქი მწვანე ნარგავების ნაკლებობას განიცდის და რაც არის, ისიც ნადგურდება!

საქართველოს ხელისუფალთა გულგრილობის შედეგია ვაკის პარკის გაყოლებაზე, წყნეთის მიმართულებით ხის საფარის გაჩეხვა და მის ნაცვლად საცხოვრებელი სახლების, უცხო ქვეყნების საელჩოების, ადმინისტრაციული შენობების წამოჭიმვა. მშენებლობისთვის გაჩეხილი ხეები, წინა თაობების მიერ იყო დარგული. ახალმა ვერ იგუა და ისეთი ძალით შეუტია, თითქოს სარეველა ყოფილიყო. განადგურებული ტყის ზოლის ნაცვლად უსახური არქიტექტურული შენობები წამოიჭიმა.

აღნიშნულ დანაშაულს სწორედ ხელისუფლების გულგრილობამ შეუწყო ხელი. ხელისუფალთა გულგრილობით მიმდინარეობს „დეველოპერთა“ მიერ იპოდრომის ტერიტორიის შემცირება-ათვისება.

რა ეკოლოგიაზეა ლაპარაკი, როდესაც დღისით-მზისით ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებული ბეტონმმრევი მძიმე წონის ავტომანქანები შედიან და გამოდიან სამშენებლო პოლიგონზე, სადაც ღია ცისქვეშ მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი. მსგავსს ვერ იხილავთ ვერცერთ ევროპულ ქვეყანაში. სახელმწიფო არათუ ბინძურ სამშენებლო პროცესს კრძალავს და გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, არამედ ეკოლოგიურად ბინძური სამშენებლო მასალებისგანაც ვერ იცავს მოსახლეობას.

ზემომოყვანილი პრობლემები ხელისუფლების მოსაგვარებელია — პირდაპირი და გადაუდებელი. რაც შეეხება კერძო ავტომანქანებს და მათ გამართულ მუშაობას, ისიც ხელისუფლების მისახედია.

ისე, კაცმა რომ თქვას, ხანდაზმული ავტოტრანსპორტის არსებობაც ხომ ხელისუფლების ბრალია? 25 წლის განმავლობაში მან არაფერი იღონა ხალხის მატერიალური დონის გასაუმჯობესებლად. საქართველოს მოსახლეობას რომ ოდნავი შესაძლებლობა ჰქონდეს, განა 15-20-25 წლის და მეტი ასაკის ავტომანქანით ივლიდა?



ღარიბი ხალხის ჯიბიდან უკანასკნელი თეთრების ამოღებას ხომ არ მოემსახურება ხელისუფლების მიერ შემოღებული ავტოტექდათვალიერება? როდემდე, როდემდე?!

ჰამლეტ ჟიჰაშვილი,
პოლიგოლოგი.

მესტიის მოსახლეობას უწყლობა არ შეანუხებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მესტიის მუნიციპალიტეტში წყლის გამწმენდ ნაგებობას და დამხმარე ინფრასტრუქტურას აშენებს. მიმდინარე სამუშაოები, კომპანიის დირექტორმა გიორგი კობერიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და ობიექტზე არსებულ ვითარებას გაეცნო.

პროექტის ფარგლებში აშენდება წყლის გამწმენდი ნაგებობა, 2 ახალი რეზერვუარი და წყლის მაგისტრალური მილსადენი. პროექტის ღირებულება, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, 21 მილიონ ლარზე მეტია. სამუშაოები 2016 წლის დეკემბერში დასრულდება.

მესტიის მოსახლეობის ნაწილს, წლების განმავლობაში, წყალი გრაფიკით მიეწოდებოდა. პროექტის დასრულების შემდეგ, მესტიაში მცხოვრები 1000-მდე ოჯახი და ჩასული ტურისტები 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნებიან უზრუნველყოფილნი. პროექტის ფარგლებში 100-მდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება.

სექტემბრიდან თბილისში ახალი ავტობუსები ივლის

შესაბამის ხელშეკრულებას ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „Man Truck and Bus AG“-სთან ხელი გუშინ მოეწერა. ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 7 თვისა თბილისის ავტოპარკი ჯამში, ეტაპობრივად 143 ერთეული ავტობუსით განახლდება. ევროსტანდარტების შესაბამისი ავტობუსები სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და აღჭურვილი იქნება CNG საწვავზე (ბუნებრივი აირი) მომუშავე ძრავებით, რაც დიზელთან შედარებით უფრო მცირე რაოდენობის მავნე გამონაბოლქვს გამოყოფს, შემცირებულია ნახშირბადის მოცულობა, არ გააჩნია შავი კვამლი და უსიამოვნო სუნი.

ასეთი ტიპის ავტობუსები ჩვენს ქალაქს არასდროს ჰყოლია, ამიტომ, ერთი მხრივ, ეს არის, პრაქტიკულად, პირველი ნაბიჯი იმისკენ, რომ ევროპული ტიპის მუნიციპალურმა ტრანსპორტმა იაროს თბილისში და ჩვენი თანამოქალაქეები უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილდნენ, მეორე მხრივ კი, ქალაქის ბიუჯეტი დაზოგავს თანხას ავტობუსების მომსახურებასა და საწვავით უზრუნველყოფაზე,“ — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

დედაქალაქის მერიამ თბილისის ავტობუსების პარკის შესწავლა გასულ წელს დაიწყო და დღის წესრიგში დადგა ავტოპარკის განახლების საჭიროება.

სატენდერო დოკუმენტაცია 30-მდე კომპანიამ წარმოადგინა, ტენდერში კი ინტერესი 7-მა კომპანიამ გამოხატა, რის შემდეგაც ეკოლოგიურობის, ეკონომიურობისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით საუკეთესო შეირჩა. სატენდერო პირობებში აქცენტი გაკეთდა ხარისხსა და გამოცდილებაზე. შერჩევა-შეფასება EBRD-ის საერთაშორისო წესების შესაბამისად განხორციელდა.

პრესტური „გაიცანი საქართველო“ მთიან აჭარაში

კამპანია „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ რიგით მე-14 პრესტური გამართა. სხვადასხვა მედიასაშუალებების 20-ზე მეტ წარმომადგენელს მთიან აჭარაში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა უმასპინძლა. სამდღიანი პრესტურისფარგლებში ჟურნალისტებმა ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქედის მუნიციპალიტეტში მახუნცეთის ჩანჩქერი და თალოვანის ხიდი მოინახულეს. სოფელ ვაიოში გორგილაძეების ოჯახს ესტუმრნენ, სადაც ადგილობრივ სამზარეულოს გაეცნენ.

შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ კამპანია „გაიცანი საქართველო“ 2015წელს დაიწყო.

„ოსეთის სამხედრო გზა“

ისტორიული „საქართველოს სამხედრო გზა“ კვლავ ჩაკეტილია. მეწყერმა გაანადგურა თბილისი-სტეფანწმინდა-ვლადიკავკაზის საავტომობილო მაგისტრალის მონაკვეთი, რომლის აღდგენას რამდენიმე კვირა დასჭირდება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეზობელი სომხეთი, რომელსაც რუსეთთან დამაკავშირებელი სხვა სახმელეთო გზა არ გააჩნია. თანაც იმ ვითარებაში, როდესაც ამგვარი კომუნიკაცია საქართველოზე ბევრად მეტად ესაჭიროება.

რამდენიმე კვირაში გზის აღდგენა კი მოხერხდება, თუმცა ყველას ესმის, რომ ეს პრობლემას კარდინალურად ვერ წყვეტს, ვინაიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მნიშვნელოვანი გეოლოგიური პროცესები მიმდინარეობს, ხოლო ამ პროცესთა შეჩერება ფიზიკურად არავის არ ძალუძს. სამაგიეროდ, თვით ეს პროცესები უკვე უდიდეს გავლენას ახდენენ სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტზე, რისი მაგალითიცაა, თუნდაც, სომხეთის ტრანსპორტის მინისტრის წინადადება ცხინვალისა და როკის გვირაბის გავლით საავტომობილო მოძრაობის აღდგენის თაობაზე.

ამ წინადადებას საქართველოს ხელისუფლების ნიშანდობლივი რეაქცია მოჰყვა: პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ გარკვეული კონსულტაციები (როგორც ჩანს, კარასინ–აბაშიძის ფორმატში) ნამდვილად მიმდინარეობდა, თუმცა შეთანხმება ვერ მოხერხდა, ვინაიდან, მისი თქმით, რუსეთმა პოლიტიკური მოთხოვნები წამოგვიყენა ოკუპირებული რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით

სიმართლე კვლავ ისე ოსტატურადაა შენიღბული, რომ ერთი შეხედვით თითქოს ძნელია მიხვდე, რა მოხდა სინამდვილეში და რა კონსტულტაციები მიმდინარეობდა, ან რა „წინასწარ შეთანხმებას“ მიაღწიეს მხარეებმა, რას მოითხოვდა მოსკოვი, რა წინადადებას აყენებდა თბილისი და ასე შემდეგ. მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ღია წყაროები — ფასეული ინფორმაციით, რომლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დასაბუთებულად ვივარაუდოთ, როგორ განვითარდა მოვლენები.

მაგალითად, ცნობილი ხდება, რომ სწორედ იმ დღეებში, როდესაც სომხეთის ტრანსპორტის მინისტრმა განაცხადა რუსეთ-საქართველო-სომხეთის კონსულტაციათა თაობაზე, მოსკოვში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა (ანუ, სინამდვილეში, „გამოიძახეს“) „სამხრეთ ოსეთის“ პრეზიდენტი ანატოლი თიბილოვი. იგი შეხვდა რუსეთის სპეცსამსახურთა უფროს ალექსანდრე ბორტნიკოვს, ვიცე-პრემიერ ალექსანდრე ხლოპონინს და ჩრდილო კავკასიის საქმეთა მინისტრ ლევ კუზნეცოვს.

მოგვიანებით, ამ შეხვედრებზე საუბრისას, „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი“ საინტერესო ფრაზას ამბობს: „ვისაუბრეთ იმის შესახებაც, თუ როგორ ამოქმედდეს სამხრეთ ოსეთზე გამავალი გზა, მაგრამ ამ თემაზე ჩვენი სახელმწიფოსთვის სომხეთს ოფიციალურად არ მოუმართავს, ხოლო საკითხის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია ორ სახელმწიფოს (ესე იგი სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს — გ.კ) ურთიერთობათა ნორმალიზებაზე“.

„ნორმალიზებაში“ იგულისხმება შემდეგი: საქართველომ ჯერ უნდა აღიაროს „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, ცნოს მისი ხალხის გენოციდი 1989 წლიდან, შემდეგ გამართოს მოლაპარაკება დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ და, ამ კონტექსტში, შეიძლება განიხილებოდეს ისეთი „წვრილმანებიც“; როგორიცაა სომხური სატვირთო ავტომობილებისთვის სატრანზიტო გზის გახსნა.

როდესაც რუსმა მინისტრებმა ეს პასუხი მოისმინეს, დაუკავშირდნენ თბილისს და ქართველ კოლეგებს ურჩიეს: „კი ბატონო, „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას ნუ სცნობთ, მაგრამ სამმხრივი (რუსეთ-საქართველო-სომხეთის) შეთანხმება უპერსპექტივოა, ვინაიდან ოსები არ თანხმდებიან და იქნებ ცხინვალთან გამართოთ მოლაპარაკებაო“. სწორედ ამას გულისხმობდა გიორგი კვირიკაშვილი, როდესაც მიანიშნებდა, რომ მოსკოვმა „პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენა „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსთან დაკავშირებით“.

ბუნებრივია, ცხინვალის გზის აღდგენა, სამმხრივი შეთანხმების საფუძველზეც კი, ქართული ოპოზიციის მძვინვარე რეაქციას გამოიწვევდა, ხოლო ეს რეაქცია გაამაგდებოდა, თუ რაიმე ხელშეკრულება არა სამმხრივ, არამედ ოთხმხრივ („სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ჩათვლით) საფუძველზე გაფორმდებოდა.

მაგრამ ცხინვალი სწორედ ამას ითხოვს გზის აღდგენის წინაპირობად: თუ სომხეთს უნდა ჩვენი გზის გამოყენება, ოფიციალურად უნდა მოგვმართოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსო.

რა თქმა უნდა, ერევანი ამას ვერ გაბედავს, რადგან ასეთ შემთხვევაში, თბილისი მასთან ყოველგვარ მოლაპარაკებას შეწყვეტს. ამიტომ, მოსკოვს რჩება ორი გამოსავალი: აიძულოს თბილისი, გამართოს პირდაპირი დიალოგი ცხინვალთან, ან აიძულოს ცხინვალი, დათანხმდეს მოძრაობის აღდგენას ისე, რომ „სამხრეთ ოსეთი“ საერთოდ არ მონაწილეობდეს პროცესში.

პირველი გზა უპერსპექტივოა, რადგან მოსკოვს ახლა არანაირად არ აძლევს ხელს საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან ურთიერთობათა ზედმეტი დაძაბვა, როდესაც უკრაინასთან კონფლიქტი ამოწურული არ არის. რაც შეეხება მეორე ალტერნატივას: ჩვენში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ბრიყვული შეხედულების თანახმად, საკმარისია მოსკოვმა უბრძანოს და ოსები (ისევე, როგორც აფხაზები) ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც რუსებს სურთ. არადა, საქმე ასე მარტივად და პრიმიტიულად არაა — სეპარატისტები მოქმედებენ იმ ჩარჩოებში და იყენებენ იმ „სამანევრო სივრცეს“, რასაც მათი რესურსები უტოვებენ: რასაკვირველია, თუ რუსეთს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ამ გზის ამოქმედება, რომ პირდაპირი ღია ზეწოლა მოახდინოს ცხინვალზე, მას შეუძლია კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. მაგალითად, როკის გვირაბი ჩაკეტოს. მით უმეტეს, რომ სამხრეთ ოსეთი 100 და 1000 პროცენტით რუსეთზეა დამოკიდებული ყველა თვალსაზრისით.

მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ოს სეპარატისტებსაც აქვთ თავისი კოზირები ამ თამაშში: თუ მოსკოვი სანქციებს დაუწესებს, გზას გადაუკეტავს როკის გვირაბთან და ასე შემდეგ, მათი ლობისტები (პირველ რიგში, ჩრდილო ოსეთიდან) ატეხავენ ყვირილს, რომ ვლადიმერ პუტინი, ან მისი ადმინისტრაციის ჩინოვნიკები, აბარებენ ოს ხალხს „ნაცისტურ, ანტირუსულ, პროდასავლურ საქართველოს“ და უარს ამბობენ „2008 წლის ბრწყინვალე“ ისტორიული გამარჯვების მონაპოვარზე. რუსი ექსპერტებისა და ჟურნალისტების მრავალრიცხოვან არმიაშიც მოიძებნებიან ისეთები, ვინც ამ წარატივს აუცილებლად აიტაცებს.

სინამდვილეში ძალიან კარგად ეხმის ყოველივე: მოსკოვს სურს დაიტოვოს ზეწოლის რაღაც ბერკეტი, რადგან არსებული ეგხ-ის ზამთრობით მწყობრიდან გამოსვლა ძალიან ძნელია „გააპიარო“ როგორც „სამხრეთ ოსეთის გმირი რესპუბლიკის საქართველოსთვის ჩაბარების“ მცდელობა.

რაც შეეხება საავტომობილო გზას, რომელიც ცხინვალზე გადის, სეპარატისტები მას „ოსეთის სამხედრო გზას“ (Военно-осетинская дорога) უწოდებენ „საქართველოს სამხედრო გზის“ ანალოგიით, რაც სრული აბსურდია: ისტორიულად არანაირი „ოსეთის სამხედრო გზა“ არ არსებულა თუნდაც იმ მიზეზით, რომ როკის გვირაბი მხოლოდ 1988 წელს ამოქმედდა.

მაგრამ ამ მაგალითმა ერთი რამ უნდა გვასწავლოს: **მცდარია აზრი, თითქოს მოსკოვის, ცხინვალისა და სოხუმის ინტერესები მუდამ ემთხვევა და უწყვეტ ჰარმონიაშია ერთმანეთთან. ასევე მცდარია აზრი, რომ გარკვეულ ზღვრამდე, სეპარატისტებს არ შეუძლიათ იმოქმედონ დამოუკიდებლად, ესე იგი მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც იქმნება ინტერესთა კონფლიქტი რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან.**

სინამდვილეში, აქ სიტუაცია ბევრად რთულია. და სანამ ქართული პოლიტიკა ვერ აღიქვამს ამ სირთულეს, სანამ არ ვისწავლით ამგვარ წინააღმდეგობებზე ოსტატურად თამაშს საკუთარი გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე, სანამ იარსებებენ ტაბუირებული თემები და ნაბიჯები, მანამ მუდმივად დამარცხებულნი ვიქნებით.

სხვათა შორის, წინა ხელისუფლებას, რომლის წარმომადგენლები (დღეს ოპოზიციონერებად წოდებულნი) ცოფიანად აკრიტიკებენ ამჟამინდელი მთავრობის ნებისმიერ გონივრულ ნაბიჯს ამ მიმართულებით, ეს შესანიშნავად ესმოდათ. ამის უტყუარი მაგალითია მემორანდუმი, რომელიც 2008 წლის ომიდან რამდენიმე კვირის შემდეგ (!) სააკაშვილის მთავრობამ გააფორმა ანატოლი ჩუბაისის კომპანიასთან — ენგურჰესის მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით. ხსენებული მემორანდუმის შესრულება ჩაიშალა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთს, რამაც გამოააშკარავა ინტერესთა კონფლიქტი მოსკოვსა და სოხუმს შორის.

ანუ სააკაშვილის ეს ნაბიჯი იყო სწორი მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკური სვლა იმ ვითარებაში, როდესაც ენგურჰესის სამართავ პულტს (მაშასადამე, თვით ელექტროსადგურს, გარდა კაშხლისა), სოფელ საბერიოში, ასი პროცენტით სეპარატისტები აკონტროლებენ.

„რა მნიშვნელობა აქვს ვინ იდგება საბერიოს პულტთან, მაინც ხომ რუსები წყვეტენ ყველაფერსო“, — ამბობდნენ და ამბობენ პრიმიტიული სქემების მოყვარულნი. არადა, თუ „არა აქვს მნიშვნელობა“, სოხუმი ასეთი გააფთრებით რატომ წავიდა მემორანდუმისა და შესაძლო ხელშეკრულების წინააღმდეგ?

გელა კალანდაძე

დედამიწის ზურგზე

ანგელა მერკელს სურს რომ, ანგირუსული სანქციები მოიხსნას

მისი სიტყვებით, კარგი ურთიერთობა რუსეთთან სურს ყველას ევროკავშირში, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ უკრაინის კონფლიქტის ყველა მონაწილე წავიდეს კომპრომისზე. ივნისის ბოლოს სწორედ მერკელმა განაცხადა სანქციების შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ.



ამერიკელმა კონგრესმენებმა მოითხოვეს, დაინყონ ახალი გამოკვლევა კლინგონის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ორი კომიტეტის ხელმძღვანელმა რესპუბლიკური პარტიიდან მიმართეს ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს თხოვნით, დაიწყონ გამოკვლევა ცრუ ჩვენების შესახებ ყოფილ სახელმწიფო მდივანთან, პრეზიდენტობის კანდიდატთან ჰილარი კლინტონთან დაკავშირებით.

მიჩიგანში მამაკაცმა სასამართლოს დარბაზში ორი ბოქაული მოკლა

თავდამსხმელი იყო დამნაშავე, რომელიც დაცვის ქვეშ იმყოფებოდა. ალბათ, ის სასამართლოს შენობაში სხდომაზე შემოიყვანეს. ამ დროს გაურკვეველი რჩება, თუ როგორ შეძლო მამაკაცმა მიეღო ცეცხლსასროლი იარაღი, რაც გახდა სროლის საბაბი. დაილუპა სასამართლოს ორი ბოქაული, თავად თავდამსხმელი და შერიფის თანაშემწე დაიჭრა.

უცნობმა ბალტიმორაში სამი კაცის მოკვლის ადგილზე გახსნა ცეცხლი, დაჭრა 5 კაცი

დაახლოებით 20-30 კაცი შეიკრიბა ადგილზე, სადაც წინა დღით მოკლეს სამი კაცი, მათ შორის, 24 წლის შავკანიანი ადგილობრივი მცხოვრები დორინ სკოფილდი. რაღაც მომენტში ჯგუფში გაჩნდა მამაკაცი, რომელმაც გახსნა ცეცხლი, შემდეგ კი დანაშაულის ადგილიდან მიიმალა.

კემერონმა პრემიერის პოსტიდან წასვლის წინ პრესის წინაშე იმღერა, აიძულა ჟურნალისტები, გამოეცნოთ მელოდია

კურიოზული შემთხვევა მოხდა წინა დღით, როდესაც მთავრობის ჯერ კიდევ მოქმედმა ლიდერმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის შემდეგი პრემიერი გახდება შინაგან საქმეთა მინისტრი ტერეზა მეი. როდესაც გამოსვლა დაამთავრა, კემერონი შებრუნდა ზურგით ჟურნალისტებისკენ და თავისი რეზიდენციისაკენ გაეშურა. გზაში პრემიერმა იმღერა უცნობი მელოდიის მოკლე ნაწყვეტი.



ფერმერობა და კოოპერატივები აჭარაში

ორიოდე თვეში აჭარაში სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული კოოპერატივების დასახმარებლად ახალი პროგრამა ამოქმედდება. პროგრამა, ფაქტობრივად, გაგრძელებაა კიდევ ერთი პროგრამის, „ენპარდ-აჭარის", რომელსაც გაერო ახორციელებდა. როგორც ექსპერტები ამბობენ, აჭარის პროექტები განსაკუთრებით შედეგიანი იყო, რის გამოც აჭარის მთავრობამ გადაწყვიტა მსგავსი პროგრამა, 2017 წლის ჩათვლით, ახლა უკვე საკუთარი დაფინანსებით გააგრძელოს. ახალი პროგრამის ბიუჯეტი 1.3 მილიონი ლარია.

„ენპარდ-1" (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის) 2013 წელს დაიწყო და 2016-ში დასრულდა. მას გაეროს განვითარების პროგრამა

ახორციელებდა. „ენპარდის" მიზანი იყო ფერმერებს ფულით, ტექნიკით და კონსულტაციებით დახმარებოდა. პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა, თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ აჭარაში განსაკუთრებით კარგი შედეგი ნახეს.

„მხოლოდ აჭარაში „ენპარდის" მეშვეობით გაიხსნა 70-ზე მეტი წარმატებული კოოპერატივი, ხოლო საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებით ათი ათასზე მეტმა მცირე ფერმერმა ისარგებლა", — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა.

აჭარა იმდენად მცირემიწიანი კუთხეა, რომ მოსახლეობას მოსავლის მოყვანა ციცაბო აღმართებზე უწევს, ისეთ ფერდობებზე, რომლებზეც მძიმე ტექნიკა ვერ მუშაობს და გლეხი იძულებულია ნათესები ხელით თოხნოს.

გაეროს განვითარების პროგრამა „ენპარდ-აჭარის" პროექტის მენეჯერი ლაშა კომახიძე ამბობს, რომ მოსახლეობის უმეტესობას ნახევარი ჰექტარი მიწაც კი არა აქვს და ის ნახევარი ჰექტარიც სხვადასხვა ადგილებში გაბნეული რამდენიმე ნაკვეთია. მისივე თქმით, ლანდშაფტის გამო რთულია ფერმერების ერთმანეთთან თანამშრომლობაც. კლიმატური ზონები ძალიან მოკლე მანძილზე იცვლება, სანაპიროდან 80 კილომეტრში სოფლები ზღვის დონიდან 1600-1800 მეტრზე მდებარეობს. შესაბამისად, ერთ ფერმერს თუ ხილი მოჰყავს, მეზობელი ფერმერი ამას უკვე ვეღარ ახერხებს და ბიზნეს-პარტნიორობაც არ გამოსდით.

— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ასევე მიიჩნევენ, რომ ძალიან წარმატებული გამოდგა და ამიტომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის გაფორმდა ხელშეკრულება 2016-2017 წლებზე. ხელშეკრულება მსგავსი პროგრამის გაგრძელებას გულისხმობს და მისი სახელია „მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, — ამბობს ლაშა კომახიძე.

რაც შეეხება უკვე გაკეთებულს, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ფერმერებს არა აქვთ ცოდნა ახალი ტექნოლოგიების, ბიზნესის განვითარების შესახებ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი შეხედვით დიდი პრობლემა, უბრალოდ, სპეციალისტის კონსულტაციის შედეგად ან რაიმე თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით გადაწყვეტილა.

მაგალითად, სოფელ ახოში კოოპერატივი „პერანგა" შავი და ოქროსფერი კალმახების მოშენებით არის დაკავებული. კალმახები სხვადასხვა ზომისაა და სხვადასხვა აუზში არიან გადანაწილებული. საკალმახე მაღალ მთებშია, მთის მდინარეზე, კალმახის ბუნებრივ პირობებთან მაქსიმალურად ახლოს. კოოპერატივის ერთ-ერთი თანამშრომელი, მალხაზ ბერიძე, ამბობს, რომ თევზის მოშენებაზე მეტად მისი რეალიზაცია უჭირდათ, რადგან ქალაქში ტრანსპორტირებას კალმახები ვერ უძლებდნენ და ბევრი იხოცებოდა. „ენპარდის" მეშვეობით მათ ამ პრობლემის მოგვარება მოახერხეს. რამდენიმე მსგავსი პროფილის კოოპერატივი გაერთიანდა და „ენპარდმა" მათ ერთი საერთო მანქანა მისცა. ეს არის სატვირთო მანქანა, სპეციალური კონტეინერით, საგანგებოდ თევზის გადასაყვანად მოწყობილი.

„ზარალი აღარაა იმდენი. ადრე ჩვენ თვითონ გადაგვქონდა და გვეხოცებოდა, ახლა იმდენი აღარ გვეხოცება".

აპარატურით დაეხმარნენ „ფუტკრის სახლსაც", სადაც სკებისთვის საჭირო ფიჭები მზადდება. ეს ფიჭები შემდეგ სკებში უნდა ჩადგან.

„ეს დაზგა-დანადგარი უკრაინიდან ჩამოვიდა. „ენპარდისა" და გაეროს პროგრამით გვერგო, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ. ახლა სეზონი უკვე იწურება და წელს ოთხ ტონამდე ფიჭა დავბეჭდეთ", — ამბობს „ფუტკრის სახლის" წარმომადგენელი, თენგიზ მალაყმაძე.

ტექნიკური დახმარება მიიღო ნოდარ ზოსიძემაც, რომელსაც სოფელ ჯაბნიძეებში თხილი აქვს მოშენებული. როგორც თავად ამბობს, თხილი იმიტომ შეარჩია, რომ მცოცავ მიწებს კარგად აკავებს და მეწყრის განვითარების ალბათობა ნაკლებია.

„ჩვენთან ყველაზე მთაა, მაგრამ თხილი დახრილ მიწებზეც კარგად ხარობს. პარადოქსია, ცოტა დამღლელია, შრომატევადია გაშენების პერიოდში, მაგრამ შემდეგ შემოსავალი მეტია და მეურნე კმაყოფილი რჩება".

ლაშა კომახიძე აჭარის კიდევ ერთ პრობლემაზე საუბრობს. აჭარაში 90 ათასი სული მსხვილფეხა საქონელია. ერთ სულს ერთი ჰექტარი სასაძოვრე ტერიტორია სჭირდება, მაგრამ საძოვრების მოცულობა აჭარაში სულ 30 ათასი ჰექტარია. ამის გამო ფერმერები მესაქონლეობას ვერ მისდევენ. ახალი ტექნოლოგიების პირობებში ამ პრობლემის მოგვარებაც შესაძლებელი გახდა. კერძოდ, „ენპარდმა" ფერმერებს მისცა კონტეინერი, რომელშიც ჯეჯილის მოყვანა არის შესაძლებელი. კონტეინერი სულ 20 კვადრატულ მეტრს იკავებს.

„მხოლოდ და მხოლოდ წყლის და ქერის ან ხორბლის მეშვეობით შეიძლება გამოზარდოთ, ჯეჯილის მსგავსად. შვიდ დღეში აღწევს თხუთმეტი სანტიმეტრის სიმაღლეს და მზადაა იმისთვის, რომ პირუტყვს მივცეთ".

მისივე თქმით, ასეთი კონტეინერი იმითაც არის კარგი, რომ ძროხა ზამთარშიც მწვანე ბალახს ჭამს და არა თივას. შესაბამისად, მისი წველადობა არ კლებულობს და მოგებაც მეტია.

თეა თოფურია,
ბათუმი

რა უპირატესობები აქვს აზიურ ბაზარს ქართველი ექსპორტიორებისთვის?

ევროკავშირთან **თავისუფალი ვაჭრობის ამოქმედების შემდეგ ქართული ბიზნესის დიდი ნაწილი ახალ, 500-მილიონიან ბაზარზე გასვლას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი თავისუფალია და გადასახადები არ მოქმედებს, ქართულ კერძო სექტორს ევროკავშირში გასვლა მაინც უჭირს. მიზეზი კი ისაა, რომ ევროგაერთიანების ქვეყნებში პროდუქციის შესატანად ბიზნესს სპეციფიკური სტანდარტების დაკმაყოფილება უწევს. ამასთან, როგორც ბიზნესმენები აცხადებენ, ბაზარი გაჯერებული და საკმაოდ კონკურენტულია.**

სოკოს ქართულმა წარმოებამ „თეთრი ქუდი" ISO-სა და Global Map-ის საერთაშორისო სერტიფიკატები აიღო, მაგრამ პროდუქციის გატანას ევროკავშირის ბაზარზე არ გეგმავს.

როგორც „კომერსანტს" კომპანიის ხელმძღვანელმა ვანო იოსელიანმა განუცხადა, აღნიშნული სერტიფიკატებით პროდუქციის შეტანა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლია, მაგრამ კომპანია არჩევანს აზიურ ბაზარზე აკეთებს. ვანო იოსელიანი ამბობს, რომ სოკო დუბაიში უკვე გაიტანეს, სამომავლოდ კი ყატარში გატანას ფიქრობენ. იოსელიანის აზრით, ქართული სოკო ყატარში ზამთარში უნდა გამოჩნდეს.

„ამ ქვეყნებში წარმოება არ არის განვითარებული, იმპორტდამოკიდებული ქვეყნებია. ევროპის ბაზარზე კი მოგვიწევს ადგილობრივ მწარმოებლებთან ჭიდაობა, კონკურენცია, ამიტომ ვირჩევთ ამ მიმართულებას", — აცხადებს ვანო იოსელიანი და აღნიშნავს, რომ Global Map-ის სერ-



ტიფიკატი დუბაის ბაზარზე გასასვლელადაც საჭირო იყო.

მისივე ინფორმაციით, უახლოეს თვეებში კომპანია ახალ საწარმოს გახსნის, რომლის მეშვეობითაც სოკოს წარმოება სრულიად ქართული იქნება. შედეგად, იოსელიანის თქმით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ის მეტად კონკურენტული გახდება.

პროდუქციის ექსპორტის გარდა, კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვანია საქონლის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვა. ვანო იოსელიანი ამბობს, რომ საქართველო მისთვის საბაზისო ბაზარია და წლიდან წლამდე სოკოს მოხმარება ქვეყანაში იზრდება.

აზიური ბაზრის უპირატესობებზე აქცენტს ლურჯი მოცვის მწარმოებელი კომპანია Vanrik Agro Group-ის რეგიონული დირექტორი ნოე მუჯირიც აკეთებს, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ პროდუქცია არაბთა გაერთიანებულ სამეფოებში გაიტანა.

როგორც ნოე მუჯირი ამბობს, მათი პროდუქცია აზიურ ბაზარზე ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე სხვა ბაზრებზე. ამასთან, მისი თქმით, ეს ბაზრები ახალია, ქართულ პროდუქციას იქ დამკვიდრება სურს.

„მომგებიანობა დამოკიდებულია არამარტო მოცვის ხარისხზე, არამედ დაფასებაზე. გააჩნია რა მოთხოვნები აქვს ქვეყანას, რომელიც გვიკვეთავს მოცვს. საამიროებში გაგზავნილი მოცვის ფასი უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რადგან ისინი განსაკუთრებულ დაფასებას ითხოვენ. იგზავნება თვითმფრინავით, ამიტომ შედარებით ძვირია და ფასიც მეტია. აზიური ქვეყნები განსაკუთრებით გვაინტერესებს იმის გამო, რომ მართალია არ ითხოვენ დიდი რაოდენობის პროდუქციას, თუმცა შეკვეთებს ხშირად გვაძლევენ.

თითქმის ყოველ მეორე დღეს ვაგზავნით პროდუქციას. ფასიც უფრო მიმზიდველია, თან ეს ახალი ბაზარია ჩვენთვის და გვინდა, რომ გავიმყაროთ იქ პოზიციები", — აცხადებს ნოე მუჯირი.

სალომე მეცხვარიშვილი

განცხადება

2016 წლის 2 სექტემბერს, 14 საათზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ №24,) გაიმართება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხელედულაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. ხელედულაზე ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ №24;
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.
- შპს „ხელედულა ენერჯი"-ს ოფისში — ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37დ.
- გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:
- ჯულული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

შპს „ხელედულა ენერჯის" ადმინისტრაცია

◎ ბატუტზე ხტომა

ანას „ვერცხლი“ და ლუბას „ბრინჯაო“



პორტუგალიურ კოიმბრაში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს თასი გათამაშდა, ხოლო ახალგაზრდებისთვის მსოფლიო ტანვარჯიშის ფესტივალი გაიმართა. შეჯიბრებებში ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი, მწვრთნელები — ვლადიმერ გოლოვინი, ლია ხრიკული, მსაჯები — **რუსუდან ხოფერია, შალვა კალოევი**). მსოფლიოს თასზე თავი გამოიჩინა რიოს ლიცენზიატმა ლუბა გოლოვინამ. ამას წინათ მან შვეიცარიაში მსგავს შეჯიბრებაზე მე-4 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალოსანს მხოლოდ 0.22 ქულით ჩამორჩა. კოიმბრაში ლუბამ საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი ვარჯიში სხვებზე უკეთ შეასრულა და ყველაზე მაღალი ტექნიკური შეფასება მიიღო, თუმცა, მეორე ვარჯიშის შესრულებისას სიმაღლე არ ეყო, ამიტომ ორი ვარჯიშის ჯამში (99.600 ქულა) მეხუთე ადგილზე გავიდა და ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. იქ კი უფრო მობილიზებული იყო. სირთულის კოეფიციენტი 13,1-მდე გაზარდა და 53.820 ქულა

დაიმსახურა, რამაც ბრინჯაოს მედალი მოუტანა. პირველ-მეორე ადგილებზე ბელარუსები — ტატსიანა პეტრენია (55.545) და ჰანა ჰასჩორნაკი (53.835) გავიდნენ. ლუბას ახალი ვარჯიში — სამმაგი მალაყი კეცვით რომ გამოეყენებინა, პირველობას, ალბათ, ვერავინ შეეცილებოდა.

17 წელს გადაცილებული სპორტსმენებისთვის მსოფლიოს ტანვარჯიშის ფესტივალზე ანა ოდიშვილმა ფინალში 50.110 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა, ქართველ ბატუტზე მხტომელს 0.015-ით გაუსწრო რუსმა კარინა აფონინამ (50.125), ხოლო მესამე ადგილზე უზბეკი ფარანგიზ რუზიევა (49.250) გავიდა. თეონა ჯანჯღავას 48.450 ქულით მე-6 ადგილი ხვდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

მოზაიკა

ხვალ ფრანგები ეროვნულ დღესასწაულს — ბასტილიის აღების დღეს აღნიშნავენ, თუმცა, საშინაო ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის წაგების შემდეგ ძნელი სათქმელია, რამდენად ეზეიმებათ.

ალბათ, მათ მორალურ კომპენსაციად, ნაწილობრივ მაინც, თანამემამულის, ტურნირის მთავარი ბომბარდირის (6 გოლი) ანტუან გრიზმანის აღიარება გამოადგებათ, რომელიც კონტინენტის XV ფორუმის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს.

შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკოს“ შეტევათა ლიდერს ესპანურ კლუბშიც წარმატებული სეზონი ჰქონდა, თუმცა, ილბალმა იქაც ზურგი აქცია — მოგეხსენებათ „როხიბლანკომ“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდული დერბი „რეალთან“ პენალტების სერიაში დათმო.

* * *



კრიშტიანუ რონალდუს ჯანმრთელობის მდგომარეობა სპორტულ სამყაროში ერთ-ერთ აქტუალურ თემად იქცა.

როგორც გაირკვა, „ევრო-2016“-ის ისტორიულ ფინალში მიღებული ტრავმის გამო მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი ვარსკვლავი მინდორზე გასვლას ერთი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ევროპის სუპერთასისთვის 9 აგვისტოს ნორვეგიულ ტრონჰეიმში „სევილიასთან“ გასამართ შეხვედრაში თამაშსაც ვერ მოახერხებს.

* * *

„ბარსელონას“ გერმანელი მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობდა, კატალონიურ გრანდში რჩება.

ხმები მისი შესაძლო წასვლის შესახებ მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში ვრცელდებოდა „ბლაუგრანაში“ დიდი კონკურენციის გამო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძირითადი მეკარის კლაუდიო ბრავოს შესაძენად „სიტიმ“ 20 მილიონი ევრო გამოყო, გერმანელს დაწინაურების შანსი მიეცა და დარჩენა გადაწყვიტა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

მორჩიაშვილი პირველია

ბათუმის მერიის თასზე გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ბაჩანა მორჩიაშვილმა ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით დიდოსტატ დავით ბენიძეს აჯობა, ხოლო უკრაინელი ვიტალი სივუკი თანამემამულე ალექსანდრ ზუბოვს დაუზავდა. მეწინავეთა ჯგუფიდან, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ დავიდ პარავიანი (რუსეთი) და აშოტ ნადანიანი (სომხეთი), რაფაელ

ბაკუნცმა (სომხეთი) თანამემამულე ვაჰე ბაღდასარიანი დაამარცხა, გიგა ყუფარაძემ დავით მაღალაშვილს გააჩერებინა საათი, ხოლო შოთა აზალაძემ არმენ მიქაელიანი (სომხეთი) დაჯაბნა.

ბაჩანა მორჩიაშვილს ნახევარ-ნახევარი ქულით ვიტალი სივუკი, რაფაელ ბაკუნცი და გიგა ყუფარაძე ჩამორჩნენ, რომლებმაც კოეფიციენტით მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს.

თამაზ პატარიძე

◎ წყალბურთი

მეზობლებმა გვაჯობეს

16-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ სამ დღეს გრძელდებოდა, ცნობილი ქართველი წყალბურთელების — როსტომ და ზურაბ ჩაჩავების ხსოვნას მიეძღვნა. მემორიალში საქართველოს (გიორგი ბარაბაძე, დავით ცხაკაია, თორნიკე დიასამიძე, კახა სამყურაშვილი, საბა დვალი, ლევან ხოხაშვილი, გიორგი წულუკიანი, გურამ კუჭუაშვილი, ნიკოლოზ იმნაიშვილი, თეიმურაზ ჭეიშვილი, გიორგი ნარეშელაშვილი, გიორგი ქათამაძე, ნიკოლოზ ქარჩავა, თორნიკე ხვინგია, ნიკოლოზ თიგიშვილი, მთავარი მწვრთნელი — რევაზ ჩომახიძე, მწვრთნელები — თამაზ კუტივაძე და ირაკლი ბაქრაძე), რუსეთის, სლოვაკეთისა და ყაზახეთის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. მასპინძლებმა პირველ



დღეს ყაზახეთის ნაკრები დაამარცხეს — 11:2 (3:0, 3:0, 2:0, 3:2), ხოლო რუსები სლოვაკებს დაუზავდნენ — 9:9 (0:3, 4:4, 2:1, 3:1). მეორე ტურში ჩვენებმა სლოვაკებს მოუგეს — 10:6 (2:1, 1:3, 5:2, 2:0), რუსებმა კი ყაზახებს აჯობეს — 13:2 (1:1, 3:0, 6:1, 3:0). ბოლო ტურში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა 9:6 (3:2, 2:1, 2:2, 2:1) გვაჯობეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი ყაზახების მძლეველ 15:6 (5:1, 1:0, 7:1, 2:4) სლოვაკებს ერგოთ.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

გასეირნება ტიტების ქვეყანაში

გასულ კვირას ჰოლანდიური ამსტელვეენის ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი მე-6 ნომრად იყო განთესილი. მან ზედიზედ ხუთი მეტოქე დაჯაბნა: როი სარუტ დე ვალკი (ჰოლანდია) — 6:2, 6:4, მაქსიმილიან ნოიკრისტი (ავსტრია) — 3:6, 6:3, 6:4, მილაან ნიესტენი (ჰოლანდია) — 6:7 (4:7), 7:5, 6:1, ბოტიკ ვან დე ზანდშულპი (ჰოლანდია) — 6:2, 1:6, 7:5, იელე სელსი (ჰოლანდია) — 6:2, 6:0 და მთავარი პრიზი მოიპოვა. წყვილებში მეტრეველმა და

ბელარუსმა დმიტრი ჟირმონტმა ნახევარფინალს უწიეს, იქ კი ჰოლანდიურ დუეტთან (ნიესტენი-ვესტერჰოფი) 5:7-ს აგებდნენ, ტრავმის გამო პაექრობის გაგრძელება რომ ვერ შეძლეს. ამ კვირაში ალექსანდრე მეტრეველი პოლონურ პოზნანში ჩელენჯერზე (საპრიზო ფონდი 42 500 ევრო) ითამაშებს.

გივი გაგუა

ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზრები

ნატოს 2016 წლის სამიტი ვარშავაში საქართველოს მჯთხველისთვის მისი სერიოზული მნიშვნელობის გარდა, იმითაც აღმოჩნდა საინტერესო, რომ ღონისძიების მონაწილეებს ქართული ღვინით გაუმასპინძლდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ღვინო სპეციალურად ვარშავის სამიტისთვის ჩამოისხა. საკუთარ კოლეგებს ასევე ქართული ღვინით გაუმასპინძლდა პოლონეთის თავდაცვის მინისტრი სამიტის ფარგლებში დაგეგმილ საპატიო ვახშამზე.

ცხადია, ეს სიმბოლური ჟესტია, რომელიც ქართული ღვინის ევროპულ პოლიტიკურ ბაზარზე გასვლას გვამცნობს, მანამდე კი მოკლედ მიმოვიხილოთ ქართული ღვინის რეალური სავაჭრო ბაზრების მდგომარეობა 2016 წლის პირველ ნახევარში.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 40 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19,8 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 44 %-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 46,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 18 %-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ამ პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: ჩინეთი – 148 % (1 884 665),უკრაინა – 82 % (2 286 977), რუსეთი – 56 % (10 198 085), ბელარუსი – 96 % (462 547), ლიტვა – 31 % (260 064), პოლონეთი – 34 % (1 070 454), ესტონეთი – 64 % (331 884), ყირგიზეთი – 89 % (149 666),გერმანია – 55 % (166 636), კანადა – 16 % (96 300), დიდი ბრიტანეთი – 43 % (58366) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ, 6 თვის მონაცემებით, ჩინეთმა მე-4 ადგილიდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა ისეთი ტრადიციული ბაზრების შემდეგ, როგორიცაა რუსეთი და უკრაინა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი – 10 198 085 ბოთლი, უკრაინა – 2 286 977 ბოთლი, ჩინეთი – 1 884 665 ბოთლი, ყაზახეთი – 1 764 286 ბოთლი, პოლონეთი –1 070 454 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 710 997 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 47 %-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს – სულ ექსპორტირებულია 8,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულებისა. ზრდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 20 %-ს აღწევს. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 78,8მლნ აშშ დოლარს მიაღწია. გასული წლის 6 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 58,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი ამერიკაში გაემგზავრა

ნინო ანანიაშვილი და თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასი ამერიკის შეერთებულ შტატებში საგასტროლოდ გაემგზავრა. პრიმა-ბალერინა და საქართველოს სახელმწიფო ბალეტი ჯექსონში 16 ივლისს გამოვლენ.

პროგრამაშია სამი ერთმოქმედებიანი ბალეტი: ფრედერიკ ეშტონის „მარგარიტადაარანი“, ჯორჯ ბალანჩინის „კონჩერტობაროკო“ და იური პოსოხოვის „საგალობელი“. დასის მიწვევა, კონკურსის ორგანიზატორების განცხადებით, ნინო ანანიაშვილის და ანდრის ლიეპას მიერ, ჯექსონის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე გრან-პრისა და ოქროს მედლის მიღების 30 წლის იუბილეს ეძღვნება.

მაგდებურგის უნივერსიტეტი ქართულ უნივერსიტეტებთან მემორანდუმს აფორმებს

მაგდებურგის უნივერსიტეტმა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბათუმის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმი, სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსამზადებელი ორმხრივი პროგრამის შექმნას გულისხმობს. მემორანდუმის გაფორმების ცერემონიალსა და კონფერენციას გერმანიაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი მაჩაბელი დაესწრო.

გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მაგდებურგის უნივერსიტეტთან ერთად მომზადდება პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადებისათვის პედაგოგიკის კურსი. ასევე შესაძლებელი გახდება პროფესიული განათლების ადმინისტრირებისა და მართვის ორმხრივი სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება მსურველებისათვის, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები მაგისტრატურის ერთ ნაწილს – გერმანიაში, ხოლო მეორე ნაწილს საქართველოში გაივლიან.

ალადინი ქურდობას ვერ შეეშვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ალადინ ი. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებულმა გარდაბნის რაიონში მდებარე ერთ-ერთი ხის საამქროდან ელექტროხელსაწყოები მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლისა და ეზოს ჩხრეკისას, ხის საამქროდან მოპარული ელექტროხელსაწყოების გარდა, ამოიღეს „ეფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა, გადაჭრილი თოფი – ე.წ. აბრეზი, 6.81 გრ გამომშრალი მარიხუანა და 2 ძირი კანაფი. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

◎ ჭკუა თავშია და არა ხანში...

თურმე ამის სწავლა შემიძლია...

შეუძლიათ თუ არა კომპიუტერზე იმუშაონ მათ, ვინც 50 წელს გადაშორდა და კომპიუტერს არასოდეს შეხებია? ამის სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ თვლის, რომ მისი დრო წავიდა ან ეს დაუძლეველი პრობლემაა.

აღმოჩნდა, რომ არა. საგანგებოდ მათთვის ახლა კომპიუტერის შემსწავლელი უფასო კურსები არსებობს.

ჩვეულებრივი საკლასო ოთახი „ჯეოლაბში“... ამ ჯგუფში ოთხი მოსწავლეა.

74 წლის ზურაბ ბაბუციძე კომპიუტერის კლავიატურაზე ჯერ ნელა ბეჭდავს, მაგრამ ინტერნეტში ძიების საბაზისო ელემენტები უკვე იცის. ის და მისი ჯგუფის წევრები კვირაში სამჯერ მოსწავლეები ხდებიან, მერხებს უბრუნდებიან და ენციკლოპედიების ნაცვლად ახლა ინტერნეტში „იქექებიან“.

ჯერ ელექტრონული ფოსტა გახსნეს და თავიანთი ფეისბუქის გვერდი შექმნეს, მერე წერილების გაგზავნა და მეგობრების დამატება ისწავლეს. აქ როლები შეიცვალა – უფროსებს სტუდენტები ასწავლიან.

სტუდენტური პროგრამა „50 +“ არაკომერციული პროექტია, რომელსაც ჯეოსელი და ინოვაციების ლაბორატორია „ჯეოლაბი“ ახორციელებს.

„ჯეოლაბის“ დამფუძნებელი ვახო ვახტანგიშვილი ამბობს:

„ჩვენთვის ეს არის ძალიან დიდი ექსპერიმენტი, ისევე როგორც მათთვის, იმიტომ რომ ამის გამოცდილება არ გვქონია, პირველად ხდება. ზოგადად, ეს ასაკობრივი ჯგუფი არის ამოვარდნილი ტექნოლოგიებიდან, რადგან ისეთ პერიოდში მოუწიათ ცხოვრება, რომ მაშინ საერთოდ საბჭოთა ტექნოლოგიები იყო და ბუნებრივი ტრანსფორმაცია არ მოხდა. რასაც ვასწავლით, ის არის ძალიან ზოგადი, რაც გულისხმობს ელემენტარული ფუნქციონალის გამოყენებას, რაც რის ბროუზერის გამოყენება, მეილის გამოყენება, სოციალური ქსელის, „იუთუბის“, ვიდეოკონტენტის მოხმარების მხრივ და შემდეგ უკვე ამ ყველაფერს ვასწავლით მობილური აპლიკაციების ჭრილში“.

ნიკა შაკაია ამ კურსის ერთ-ერთი მასწავლებელია. მუშაობის პროცესში უფროს მოსწავლეებთან ერთად ადაპტირებული ტერმინოლოგია შეიმუშავა და საერთო კომპიუტერული ენა ასე გამონახეს. ნიკა მონაწილეთა მოტივაციაზე საუბრობს:

„პირველ ლექციაზე ველოდით უფრო მეტ უკუკავშირს, არ აღმოჩნდა ასე და რაღაცები შევცვალეთ. ნაკლები ტერმინი გამოვიყენეთ. მაგალითად, „სმარტფონს“ ვეძახით ჭკვიან ტელეფონს, მეილებსაც უკვე წერენ, ესე იგი წინსვლა არის.

ვასწავლით, რომ ინტერნეტში ნებისმიერს შეუძლია ინფორმაციის გავრცელება და უნდა იყოს რეალური. უნდა ნახონ ავტორი, მისი რეიტინგი და ვინ არის, ანუ ინფორმაციას პირდაპირ არ უნდა დაუჯერონ. აშკარად მოტივირებულები არიან, რვეულებით დადიან. ინგლისური რადგან არიციან, ინგლისურად წერენ და ქართულ მნიშვნელობებს გვეკითხებიან, მოტივაცია აქვთ“.

პროგრამა მონაწილეებს სხვადასხვა გზით ეხმარება. ზოგს ამერიკაში შვილთან სკაიპით უნდა დარეკვა, ზოგს უცხოელ კოლეგებთან საუბარი, ზოგს უცხო ენის სწავლა სურს, ზოგს კი იმ პროგრამების ათვისება, რომლებიც სხვამ ვერ ასწავლა ან ვერ მოიცალა მისთვის. თუმცა საერთო ყველას აქვს: თვლიან, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები და ინტერნეტი საინტერესო რამაა და ბევრი რამის აღმოჩენა შეუძლიათ:

„მე ვერ ვხვდები, რისი სწავლა მინდა. თურმე შეიძლება და მე არ ვიცი, რომ ამის სწავლა შეიძლია. ამ ჯგუფში რომ მოვხვდი, ახალგაზრდები არიან და გვასწავლიან. ეს ტექნოლოგიები ყოველთვის მიზიდავდა, მაგრამ ჩემ დროს არ იყო ეს ასე გავრცელებული და საინტერესოდ მოცემული“.

„ინფორმაციის გამოყენებაც შეიძლება, ამასაც მივხვდი, მაგრამ როგორ, ეგ არ ვიცოდი. მე მხოლოდ წაკითხვა ვიცოდი მათი ინფორმაციების, ახლა ჩემის გაზიარებაც შემიძლია. ახლა ჩემი დედამთილი მეჩხუბება, როდესაც სამსახურიდან მოვდივარ სახლში, მიჭირავს ტელეფონი, ტელეფონში მაქვს „ფეისბუქი“ და – შენ მეტი საქმე არ გაქვს სახლში?!“

„მეც ძალიან მრცხვენია, რომ აქამდე ისე მოვედი, რომ მაქვს მხოლოდ ზერელე წარმოდგენა. გარკვეული საკითხები მაინტერესებს და ამის დაკმაყოფილებას თუ შევძლებ, გამიხარდება ძალიან მაინტერესებს ნახაზების აგების პროგრამა „ავტოკადი“, რომელზეც ხელი არ მიმიწვდა და არც დრო მქონდა და არც ისეთი პიროვნება მყავდა, ვინც ამიხსნიდა და დამაკვალიანებდა. ვნახოთ, რა გამომივა“.

პროგრამა საპილოტე იყო. მასში მონაწილეობის მსურველი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა და პროგრამის შემქმნელები ამბობენ, რომ იგი აუცილებლად გაგრძელდება.

ანი ბურდული

ALL GEORGIAN LEAGUE OF KNIGHTS IN THE CHOKHA

2016 წლის 13 ივლისი

ჩვენს საამაყო თანამედროვეს, გამოჩენილ კომპოზიტორსა და საზოგადო მოღვაწეს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს,

ბატონ ვაჟა აზარაშვილს

საქართველოს ეროვნული გმირის – ქ. ჩოლოყაშვილის ჩოხოსან რაინდთა დასი გულითა და სულით გილოცავს დაბადების სახელოვან 80 წლისთავს და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებს.

გვწამს, რომ მომავალი ათწლეულიც წარმატებული გექნება.

როგორც ყველგან და ყოველთვის გვერდით გვიგულე.

მარად შენი

ვოგი დოლიძე, ჯემალ ადამაშვილი, ანზორ ბაბუხადია, თენგიზ გაჩენილაძე, მურმან გელენიძე, კოტე გოგოლაძე, ჯემალ კვანტალიანი, ფრიდონ მაღრაძე, კოტე მიქაძე, ილო პატაშური, რეზო სულავა, თენგიზ უთმელიძე, ომარ ჩიტაია, ვანო ჯაფარიძე.

0160. ქ. თბილისი, მეგრელიძის ქ. №1, Megrelidze st., 0160, Georgia
ტელ/Tel.: 2-395 082; 597 53 80 70

მოსკოვში ოლიგარქის ნათესავი ბიზნესმენი დააკავეს

მოსკოვის შერემეტევოს აეროპორტში უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებისთვის ქრთამის გადაცემის ფაქტზე ბიზნესმენი შოთა ხიხინაშვილი დააკავეს. ბიზნესმენი ტალინში მიფრინავდა, თუმცა, მას მრავლობითი ჯარიმების გამო რუსეთის ფედერაციის დატოვების უფლება არ ჰქონდა და მან საზღვრის გადაკვეთის სანაცვლოდ უშიშროების თანამშრომელს ასი ათასი რუბლი შესთავაზა.შოთა ხიხინაშვილი ცნობილი რუსი ოლიგარქის და სავაჭრო ცენტრ „ოქროს ბაბილონის“ და „წელიწადის დროების“ დამაარსებლის თეიმურაზ ხიხინაშვილის ნათესავია .

„შაქრო მოლოდოის“ არ გაუმართლა

კრიმინალური ავტორიტეტი შაქრო კალაშოვი დააკავეს. კალაშოვი 2015 წლის დეკემბერში ორი ადამიანის მკვლელობასთან

შესაძლო კავშირში და ერთ-ერთი რესტორნის მფლობელისგან თანხის გამოძალვაშია ეჭვმიტანილი. შაქრო კალაშოვი რუსეთში 2014 წლის ოქტომბერში, ესპანეთში პატიმრობის მოხდის შემდეგ დაბრუნდა, სადაც ე.წ. კრიმინალური სამყაროს ლიდერი გახდა.

◎ დედაქალაქი

კარგარეთელის ქუჩის განახლება წლეულს დაიწყება

ინოვაციური ნაგვის ურნები, მოსაცდელები და „ჭკვიანი სკამები“ - თბილისში „მწვანე ქუჩა“ გაჩნდება



თბილისში ინოვაციური, მწვანე კონცეფციით კეთილმოწყობილი ქუჩა გაჩნდება. საუბარია კარგარეთელის ქუჩაზე, სადაც მზის ენერგიაზე მომუშავე ნაგვის ურნების, გარე განათების, ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის აპარატის, ელექტრომოწყობილობების (მათ შორის, ელ.მობილების) დამტენი აპარატურების და ინოვაციური მიწისქვეშა წყლის რეზერვუარის დამონტაჟება იგეგმება.

არსებული ინფორმაციით, ასევე იგეგმება ავტობუსების გაჩერებებზე, მოსაცდელ სკამებზე მზის ენერგიაზე მომუშავე მოწყობილობის დამონტაჟება, სადაც მოქალაქეები შეძლებენ მობილური ტელეფონების დამუხტვას. მზის ენერგიას ასევე გამოიყენებენ ქუჩების გარე განათებისთვის. განთავსდება ე.წ. ჭკვიანი სკამები ჰაერის დაბინძურების ამსახველი მონიტორით, სადაც დაბინძურების ხარისხის პროცენტულ მაჩვენებელთან ერთად, ამინდის შესახებ ინფორმაციაც გამოისახება.

მიმდინარე წლის მარტში ითქვა, რომ პროექტი მერიის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდს“ უნდა განეხორციელებინა, თუმცა, ფონდი მიმდინარე წლის აპრილში გაუქმდა.

„კომერსანტი“ შეეცადა გაერკვია, ვის დაევალა კარგარეთელის ქუჩაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

როგორც გავარკვიეთ, პროექტს „თბილისის განვითარების ფონდი“ განახორციელებს, თუმცა, განხორციელების ვადები ამ დრომდე უცნობია. როგორც ფონდში „კომერსანტს“ განუცხადეს, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით აღნიშნული პროექტი ფონდს გადაეცა, თუმცა, იურიდიული გადაცემა მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც პროექტის შესწავლას ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში დაასრულებს. „როდის დაიდებს დასკვნას ბიურო, უცნობია, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული“, – აცხადებენ „თბილისის განვითარების ფონდში“.

მათი თქმით, პროექტი მისაღები და ინოვაციურია, თუმცა ის გადამუშავებას საჭიროებს. კერძოდ, ფონდის ინფორმაციით, არის გარკვეული ნიუანსები, რომლებიც გადამუშავებულ პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს. მათივე ინფორმაციით, პროექტის დაწყება წესით მიმდინარე წლისთვის უნდა მოხდეს.

როგორც მიმდინარე წლის მარტში, ტექნოლოგიური განვითარების ფონდის პროექტ „თბილისის მწვანე ქუჩის“ მენეჯერი გიორგი გაბიძაშვილი აცხადებდა, ინოვაციური ურნები ნაგავს ავტომატურად დაწნეხავს. მისი თქმით, ინოვაციურ ნაგვის ურნებთან ნაგვის დამცლელ მანქანას დღეში ორჯერ ან ერთხელ დასჭირდება მისვლა, ამიტომ ეს ქუჩა უფრო ნაკლებად დაიტვირთება.

მაშინ ითქვა, რომ პროექტის სრული ბიუჯეტი 2 მილიონ ლარს მიაღწევს. „მწვანე ქუჩის“ კონცეფცია ქართულ-გერმანულ კომპანიას „დაგენბახ ლენდსკეიპ“ ეკუთვნის, პროექტირებას კი, მთლიანად ქართული მხარე განახორციელებს.

სოფო ძლოვრელი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ანეკდოტები

– ნება მიბოძე, მოგისამძიმრო!
– რა მოხდა?
– გუშინ ჩემმა ცოლმა ახალი ქურქი იყიდა.
– მერე, მე რა შუაში ვარ?
– ხვალ შენს ცოლთან აპირებს სტუმრობას...

* * *

ძუთაისელ სახალხო მხატვარ ვალიკო მიზანდარს ეკითხება მისი მეზობელი დამწყები მხატვარი:
– ბატონო ვალერიან, თქვენ ყველაფრის მცოდნე კაცი ხართ, მითხარით, ვინ „კრასკავს“ ბოლოკს მიწაში?
ბატონი ვალიკოს პასუხი: – რავა, ცოტა მხატვარია წასული იმ ქვეყნად თუ?!

– არა, მე არ ვამტკიცებ, რომ დედაშენი ცუდი მზარეულია, – ეუბნება ქმარი ცოლს, – მაგრამ ახლა უკვე ვხვდები, რატომ ლოცულობთ ხოლმე ჭამის წინ.

* * *

– ოფიციანტ, ჩემს ღვინოში თეთრი თმა გდია.
– ეგ იმიტომ ბატონო, რომ 100 წლის ღვინოა.

* * *

მიტომ და მიხომ ვეტერინარული დაამთავრეს, სინჯავენ ძროხას, ერთი დაფჩენილ ხახაში უყურებს, მეორე კი უკანალში:
– მიხოო, შენ მე მხედავ?
– არა მიტო, ვერა გხედავ!
– ჩაწერე ნაწლავების გადახლართვა...

ექიმთან:
– მიშველეთ ექიმო, ბავშვმა ხურდა ფული გადაყლაპა!
– ხურდა ფულზე ჩვენი მედდა მუშაობს.

* * *

შვილი ჭიაყელა დედას ეკითხება:
– დედა, მამა სად არის?
– ძმაკაცებთან ერთად სათევზაოდ წავიდა.

* * *

ციხეში ბუნტია:

– ოსი ციხეში ჩუმად ზის და პატიმრებს შეშინებული ეუბნება:
– ჩუმად, ჩუმად, თორე გაგვყრიან აქედან, თქვენი წილიმე!

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, სულხან-საბას ქ. №3
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.307; ევრო - 2.57;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 13 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +28
თბილისი:	ღამე +18,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE